პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 28 ივნისი, 1949 წ. № 127 (8430). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ტრუმენი ტრაბახობს — „პრავდის“ 26/VI მოწინავე (1-ლი გვერდი).
ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება ნამსახურობისათვის (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში (მე-2 გვერდი).
გ. ზამბახიძე — თბილისის ბოლშევიკები ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში (მე-2 და მე-3 გვერდი).
რუსთავის თბოელექტროცენტრალი აღმავლობის გზაზე (მე-2 გვერდი).
გამოცდილების ტრიბუნა (მე-3 გვერდი).
წერილი მოსკოვიდან (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ტრუმენი ტრაბახობს

თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა ტრუმენის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის გამო. ეს განცხადება წარმოადგენს მოურიდებელი ტრაბახისა და პარიზში მიღწეული შედეგების ტენდენციური გაგების ნარევს.

ძირითადი დასკვნა, რომელიც ხაზგასმით არის აღნიშნული ტრუმენის განცხადებაში, იმაში მდგომარეობს, თითქოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგები „ცხადყოფენ იმ კურსის სისწორეს“, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ საგარეო პოლიტიკის დარგში. ეს დასკვნა ისეა დაშორებული ჭეშმარიტებას, როგორც ცა დედამიწას.

მართლაც, თუ ტრუმენის მთავრობის საგარეო პოლიტიკა სწორია, მაშინ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ამერიკის მმართველი წრეები პარიზში წავიდნენ ისეთ შეთანხმებებზე, რომელთა მიღწევა უკანასკნელ დრომდე შეუძლებელი იყო სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური კურსის გამო, რასაც პრეზიდენტი აქებს?

გაჭირვება აიძულებს მისტერ ტრუმენს თავის ქებას მიმართოს. მართალი ის არის, რომ პარიზში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი მიღწეულ იქნა მხოლოდ იმის შედეგად, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა უარი თქვეს დაეცვათ მათი ჩვეულებრივი კურსი. მაშასადამე, დანიშნულება თვითრეკლამისა, რითაც განსხვავდება ამერიკის პრეზიდენტის უკანასკნელი განცხადება ის არის, რომ დაფაროს თავისი პოზიციის სისუსტე და შენიღბოს ამერიკის საგარეო პოლიტიკის ჩაფუშვა.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა შეურიგებელ წინააღმდეგობაშია საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამასთან, რომელიც მიღებულ იქნა 1945 წელს პოტსდამის კონფერენციაზე. გერმანიის გათიშვის, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად მისი დასავლეთი რაიონების გადაქცევის კურსი, აგრესიული ჩრდილო ატლანტიკის ბლოკის შექმნა — ასეთია პოტსდამის გადაწყვეტილებათა დარღვევის კონკრეტული გამოვლინებანი.

პარიზის სესიაზე აჩესონი, ბევინი და შუმანი თავიანთ მთავარ ამოცანად იმას თვლიდნენ, რომ პოტსდამის საწინააღმდეგო ეს კურსი თავს მოეხვიათ საბჭოთა კავშირისათვის. აი რატომ ცდილობდნენ ისინი ასე შეუპოვრად, რომ ეგრეთ წოდებული ბონის კონსტიტუცია და საოკუპაციო სტატუტი, რაც ნავარაუდევი იყო გერმანიაში ინგლის-ამერიკის ბატონობის დასამკვიდრებლად, გავრცელებულიყო მის აღმოსავლეთ ზონაზეც.

მაგრამ დასავლეთ სახელმწიფოთა ყველა ცდამ ამ მიმართულებით მარცხი განიცადა. უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი იძულებული აღმოჩნდნენ უკან დაეხიათ პოტსდამის საწინააღმდეგო თავიანთი ტრადიციული კურსიდან, ძალაუნებურად ეღიარებინათ პოტსდამის პრინციპების გამოყენების აუცილებლობა.

მივმართოთ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს კომუნიკეს. იქიდან გამომდინარეობს, ჯერ ერთი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიის დროს, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში იქნება მოწვეული, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები შეთანხმდებიან გერმანიის საკითხზე საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შემდეგი სესიის მოწვევის ვადისა და სხვა პირობების შესახებ. ამით დასავლეთის სამი სახელმწიფო აღიარებს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ბოიკოტის პოლიტიკის უნიადაგობას, რომელსაც ისინი, ემყარებოდნენ რა პოტსდამის საწინააღმდეგო თავიანთ კურსს, თითქმის ორი წლის მანძილზე ახორციელებდნენ.

მეორე, კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შემდგომი საქმიანობის მიზანი უნდა იყოს შეთანხმების მიღწევა გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის შესახებ. ამით დასავლეთის სამი სახელმწიფო იძულებულია, თუმცა შენიღბული ფორმით, აღიაროს, რომ გერმანიის გათიშვის პოლიტიკამ, რასაც ისინი ახორციელებდნენ და რაც არღვევდა პოტსდამის გადაწყვეტილებათა ძირითად პრინციპებსა და თვით საფუძველს, მარცხი განიცადა და იგი უნდა გადაისინჯოს.

ვინ არ იცის, რომ სწორედ საბჭოთა კავშირი, პოტსდამის გადაწყვეტილებათა ერთგული, განუხრელად იბრძოდა და იბრძვის გერმანიის გათიშვის პოლიტიკის წინააღმდეგ და იცავს მისი ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენას, სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნას და გერმანიისათვის თავისუფალი და თანასწორუფლებიანი მშვიდობისმოყვარე ერის უფლებების დაბრუნებას.

„საოკუპაციო ხელისუფალნი,—ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, — გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის მისაღწევად თავიანთ ღონისძიებათა განგრძობის შესახებ მინისტრების განზრახვის მიხედვით ურთიერთს კონსულტაციას გაუწევენ ბერლინში ოთხმხრივ საფუძველზე“.

მისტერ ტრუმენს შეუძლია, რამდენიც მას მოეპრიანება, თავისი თავი და მეგობრები დაამშვიდოს, რომ პარიზში მიღწეულ შეთანხმებათა ეს პუნქტი თითქოს ცხადყოფს იმ „მტკიცე“ პოლიტიკის „სისწორეს“, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ხორციელდება ტრუმენის მომხრე ხელმძღვანელი წრეების დირიჟორობით. მაგრამ ამგვარი მტკიცება იმდენად უბადრუკია, რომ მას შეუძლია მხოლოდ სიცილი გამოიწვიოს.

არა ოთხმხრივი კონსულტაცია გერმანიის ერთიანობის შესახებ, არამედ სამმხრივი დიქტატი მისი დანაწილების მიზნით — ხომ ეს არის ტრუმენის პოლიტიკის აზრი, რაზედაც იგი და მისი მომხრეები ახლა იძულებული არიან ხელი აიღონ, თუმცა ამას აურ-ზაურით ფარავენ.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე დასავლეთ სახელმწიფოებს უნდა მიეღოთ პოტსდამის გადაწყვეტილებებზე დაფუძნებული საბჭოთა წინადადებანი, „გადაეყლაპათ“ მათთვის მწარე აბი. ტრუმენს ეს მიაჩნია ამერიკის საგარეო პოლიტიკის „სისწორის“ დადასტურებად. უფრო სწორი ხომ არ იქნება ითქვას, რომ ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ეგრეთ წოდებული „მტკიცე“ პოლიტიკის წარუმატებლობის დადასტურება?

ბ-ნ ტრუმენის განცხადებაში ტრაბახით არის რეკლამირებული „დიდმნიშვნელოვანი წარმატება, რაც მიღწეულია დასავლეთ გერმანიაში 1945 წლიდან“. მაგრამ ასეთი განცხადება გათვალისწინებულია იმისათვის, რომ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს შეუქმნას წარმოდგენა, თითქოს პარიზის სესიაზე ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ განაგრძობდნენ პოტსდამზე უარის თქმის გზის გატარებას, თითქოს ისინი იძულებული არ ყოფილან დაეწყოთ ლაპარაკი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე სრულიად სხვა ენით, ვიდრე ისინი ლაპარაკობდნენ ამ ორი უკანასკნელი წლის მანძილზე, როცა პოტსდამის პრინციპებს აბიაბრუებდნენ!

განა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე არ მოაგონდა უცბად ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრს პოტსდამი და იმის საჭიროება, რომ „მიღებული ყოფილიყო ღონისძიებანი“ გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ერთიანობის აღსადგენად, როგორც ამის შესახებ ნათქვამი იყო კომუნიკეში, რომელიც დაამტკიცა ოთხმა მინისტრმა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების მინისტრმაც? და განა ტრუმენი იძულებული არ იყო თავის მხრივ განეცხადებინა, რომ საჭიროა „შემსუბუქდეს“ „არანორმალური მდგომარეობა“ ჯერ კიდევ დანაწილებულ გერმანიაში“? საკმარისია გავიხსენოთ ეგრეთ წოდებული „ბიზონიისა“ და „ტრიზონიის“ ისტორია. ინგლის-ამერიკა-საფრანგეთის ზონებში დასავლეთის სეპარატული მარკის შემოღება, ბონში დასავლეთ გერმანიის „სახელმწიფოს“ შექმნა, ბონის კონსტიტუციის, საოკუპაციო სტატუტის, სამმხრივი კონტროლის ისტორია და სხვა, რათა ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ, რომ „გერმანიის დანაწილება“ შედეგია ინგლის-ამერიკის გამთიშველი პოლიტიკისა, რომლის ჩაფუშვის მიჩქმალვას ამაოდ ცდილობს ახლა ბ-ნი ტრუმენი, როცა ტრაბახობს თავისი „მტკიცე კურსის“ მოჩვენებითი გამარჯვებით.

სამწუხაროდ, მისტერ ტრუმენს მწარე წარუმატებლობა ხვდა. იგი ცდილობს შევიდეს ერთ კარში, მაგრამ აუცილებლად მეორეში მოხვდება ხოლმე. ჭრელი, შესანიღბავი სალებავებისაგან განთავისუფლებული პრეზიდენტის განცხადება გაისმის არა ისე, როგორც ეს მის ავტორს სურს. იგი უდავოდ მოწმობს, რომ ამერიკის მმართველი წრეები საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე იძულებული იყვნენ მიეღოთ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი საბჭოთა კავშირის წინადადებათა მიხედვით.

მართალია, მიუხედავად საბჭოთა მთავრობის მთელი ღონისძიებებისა, პარიზის სესიამ ვერ გადაწყვიტა ძირითადი საკითხები გერმანიის შესახებ. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის წინადადებანი ითვალისწინებდნენ გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ერთიანობის აღდგენას, სრულიად გერმანიის სახელმწიფო საბჭოს შექმნას მთავრობის ფუნქციებით, საკონტროლო საბჭოს საქმიანობის აღდგენას, ვალუტის საკითხის მოწესრიგებას და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მომზადების მიზნით საჭირო ზომების განხორციელებას. ეს წინადადებანი არ მიიღეს. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ მხოლოდ ისინი შეიძლება იყოს ნამდვილი საფუძველი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შემდგომი ღონისძიებებისათვის, რომლებიც მიმართული იქნება გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენისაკენ.

ტრუმენის განცხადებაში დარღვეულია ყველა საზღვარი იმ საკითხშიც, რამაც უზრუნველყო ავსტრიის საკითხზე შეთანხმების შესაძლებლობა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე. თქმა არ უნდა, რომ ეს შეთანხმება ჰქმნის საჭირო წანამძღვარებს იმისათვის, რომ ნამდვილად ბოლომდე იქნას მიყვანილი ავსტრიის პრობლემის მოწესრიგება. მაგრამ, ტრუმენის განცხადების საწინააღმდეგოდ, ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი მიღებულ იქნა, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი აიღეს საბჭოთა კავშირის კანონიერ მოთხოვნათა საბოტაჟის პოლიტიკაზე, ავსტრიის საკითხის გამო შეთანხმების ჩაშლის პოლიტიკაზე იმ საფუძვლით, რომელიც საბჭოთა კავშირმა თავიდანვე წამოაყენა და მუდამ იცავდა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკის მმართველი წრეები და მათი ევროპელი პარტნიორები განსაკუთრებული გულმოდგინებით უარყოფდნენ საბჭოთა კავშირის კანონიერ უფლებებს აღმოსავლეთ ავსტრიაში გერმანიის ყოფილ საკუთრებაზე. ახლა მათ მოუხდათ კურსის შეცვლა.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად საბჭოთა კავშირმა ავსტრიისაგან უნდა მიიღოს 150 მილიონი დოლარი, რაც 6 წელიწადში უნდა იქნას გადახდილი. ნავთის აქტივების დიდი ნაწილი და დუნაის სანაოსნო კომპანიის ქონება აღმოსავლეთ ავსტრიაში უნდა გადაეცეს საბჭოთა კავშირს, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ჯერ კიდევ 1944 წლის 22 იანვარს გაკეთებულ საბჭოთა წინადადებებში. აქვე შედის დუნაის სანაოსნო კომპანიის აქტივებიც, რომლებიც უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთშია. გერმანიის ყველა ყოფილი აქტივები, რომლებიც სსრ კავშირის საკუთრებად გადავიდა, არ შეიძლება განსხვისებულ იქნას საბჭოთა კავშირის თანხმობის მიუღებლად.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე სწორედ ასევე იქნა მიღებული გადაწყვეტილებანი იუგოსლავიასა და ავსტრიას შორის სადაო საკითხების შესახებ. ეს გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ, რომ ავსტრია უზრუნველყოფს ავსტრიაში სლოვენ და ხორვატ ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების დაცვას. ამავე დროს დაცულია იუგოსლავიის ეკონომიური ინტერესები, რამდენადაც მას გადაეცემა ავსტრიის საკუთრება, უფლებები და ინტერესები იუგოსლავიის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ავსტრიისადმი იუგოსლავიის მთავრობის ტერიტორიულ პრეტენზიებს, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიამდე დიდი ხნით ადრე ეს მთავრობა ცდილობდა საბჭოთა კავშირის მთავრობის ზურგს უკან შეთანხმებოდა ამ საკითხზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს, მაგრამ ეს ჩაიფუშა. ცნობილია, რომ საიდუმლო მოლაპარაკება ამის თაობაზე მიმდინარეობდა 1947 წლის ზაფხულში იუგოსლავიაში იუგოსლავიის მთავრობის წარმომადგენელსა და ინგლისის წარმომადგენელ ნოელ ბეიკერს შორის, აგრეთვე ლონდონში იუგოსლავიის ელჩ ლეონტიჩსა და ინგლისის მინისტრ მაკნეილს შორის. სავსებით გასაგებია, რომ საბჭოთა მთავრობა ვერავითარ პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს ასეთი საიდუმლო მოლაპარაკებებისათვის.

ასეთია ფაქტები. უნდა ვაღიაროთ, რომ პრეზიდენტ ტრუმენის განცხადებაში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგები დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. საკითხავია, რისთვის გახდა ყველაფერი ეს საჭირო?

პასუხი ამ კითხვაზე შეიძლება გვენახა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს განცხადებაში, საბჭოსი, რომელიც აერთიანებს ამერიკის საზოგადოებრიობის პროგრესულ დემოკრატიულ წრეებს.

„არასოდეს წინათ, — ნათქვამია ნაციონალური საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში, — ამერიკელი დელეგატები არ დამსხდარან კონფერენციის მაგიდასთან ასე უხალისოდ, იმის შიშით, რომ მათი საკუთარი პოლიტიკა, როგორც, მაგალითად, ჩრდილო ატლანტიკის სამხედრო პაქტის რატიფიკაცია, ევროპისა და ამერიკის ხელახლა შეიარაღება და დასავლეთ გერმანიის შეყვანა მათს სამხედრო გეგმებში, დაირღვეოდა. მაგრამ პარიზში სინამდვილე წინასწარ შიშსა და გეგმებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. პარიზში მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებმა გაიმარჯვეს“.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესია „ცივი ომის“ სულისჩამდგმელების, ორგანიზატორებისა და სტრატეგების პოლიტიკის დამარცხებაა. ეს დამარცხება სურთ დაუფარონ ფართო საერთაშორისო საზოგადოებრიობას და თავიანთ ხალხებს, ცდილობენ რა ტრაბახითა და ფაქტების დამახინჯებული განმარტებით თავიანთთვის ხელსაყრელი შთაბეჭდილება შექმნან. ამავე დროს პარიზის სესია მშვიდობისმოყვარე ხალხების გამარჯვებაა.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალურმა საბჭომ სამართლიანად განსაზღვრა პარიზში ახლახან დამთავრებული საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიის მნიშვნელობა, როგორც მშვიდობისმოყვარე ხალხების გამარჯვება.

სესიამ გზა აუბნია აგრესიული გეგმების სულისჩამდგმელებს, გამოააშკარავა დემოკრატიისა და სოციალიზმის მტრების რეაქციული ბოდვა, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის მებრძოლის, წინააღმდეგ.

„ცივი ომის სტრატეგებს, — ნათქვამია შემდეგ ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს განცხადებაში, — წაართვეს საბაბი ამ ომის საწარმოებლად, საბაბი იმისა, რომ შეუძლებელია საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების წარმოება“.

ეს, მართლაც, მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის მომხრეთა დიდი გამარჯვებაა. გასაგებია, რომ ცივი ომის სტრატეგთა ეს დამარცხება არ შეიძლება დაიფაროს არავითარი ტრაბახით.

„პრავდის“ 26/VI მოწინავე.

ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება ნამსახურობისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 5 მაისის ბრძანებულებით მეტალურგიულ მრეწველობაში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული არიან ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხნის წამყვანი პროფესიის მუშები, ოსტატები, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია: **კარპუხოვი** ივანე თევდორეს-ძე — სპილენძსაგლინავი ქარხნის ნორმადარი.

შრომის წითელი დროშის ორდენით: **ვაშაკიძე** მიხეილ მაქსიმეს-ძე — ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადირი; **გამგებელი** ბადური თევდორეს-ძე — ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადირი; **დვალი** კლიმენტი ლენტორის-ძე — ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადირი; **ზლობინი** პავლე სტეფანეს-ძე — მეტალურგიული ქარხნის მოწყობილობის განყოფილების ინჟინერი; **ქაშაკაშვილი** ნიკოლოზ ვასილის-ძე — მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინერი; **კვინიკაძე** აკაკი მალაქიას-ძე—ფეროშენადნობთა ქარხნის მეღუმელე; **ლორთქიფანიძე** ირაკლი სიმონის-ძე — ფეროშენადნობთა ქარხნის განყოფილების უფროსი; **ლუთიძე** ნიკოლოზ პავლეს-ძე — ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი; **ნებიერიძე** ლევან ნიკიფორეს-ძე — ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს ოსტატი; **სალარეიშვილი** რაჟდენ დიმიტრის-ძე — ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს ოსტატი; **ხვანიძე** ალექსანდრე მიხეილის-ძე — ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადირი; **სუსლიკოვი** პავლე კუზმას-ძე — სპილენძსაგლინავი ქარხნის საგლინავი საამქროს ოსტატი; **თორთლაძე** დავით სიმონის-ძე — ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადირი; **ცასიძე** ელიზბარ ივანეს-ძე — ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადირი; **ცატუროვი** ვასილ სერგის-ძე — სპილენძსაგლინავი ქარხნის ზეინკალი; **ცქიტიშვილი** აკაკი ნესტორის-ძე — ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორის მოადგილე;

„საპატიო ნიშნის“ ორდენით: **ალიხანოვი** არშაკ სტეფანეს-ძე — სპილენძსაგლინავი ქარხნის მემანქანე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 74 კაცი და **მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“** — 127 კაცი.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

ჭიათურა. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 5 მაისის ბრძანებულებით მეტალურგიულ მრეწველობაში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებულია ჭიათურელ მაღაროელთა დიდი ჯგუფი. 23 ივნისს ჭიათურის სახელმწიფო თეატრში დაჯილდოებულთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ორდენები და მედლები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ვ. გოგუამ.

ლენინის ორდენი პირველმა მიიღო ლენინის სახელობის მაღაროს ძველმა მუშამ ე. ახანიძემ.

მარგანეცის მრეწველობის დაჯილდოებულ მუშაკთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს სტალინის სახელობის მაღაროს ცნობილმა სტახანოველებმა ორგზის ორდენოსნებმა არ. ძინძიბაძემ, ს. ოთინაშვილმა, ამავე მაღაროს უბნის გამგემ ორგზის ორდენოსანმა ტრ. ფოფხაძემ, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს სამგზის ორდენოსანმა სტახანოველმა პ. მიროტაძემ, ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორმა აკ. ფხალაძემ და მარგანეცის ტრესტის მმართველმა შ. შეყლაშვილმა.

— დღევანდელი საზეიმო დღე,—განაცხადა ორდენის მიღებისას ამხ. ტრ. ფოფხაძემ,—დაუვიწყარი იქნება ჭიათურელ მაღაროელთა მეხსიერებაში. ეს ნიშნავს, თუ რამდენ დაფასებულია შრომა ჩვენს ქვეყანაში. ეს ნიშნავს, თუ როგორ ზრუნავენ მაღაროელებზე პარტია, მთავრობა, მშობლიური სტალინი. ასეთი დაფასების პასუხად ჭიათურელი მაღაროელები მტკიცე სიტყვას იძლევიან, რომ ჩვენს სამშობლოს მისცემენ მეტსა და მაღალხარისხოვან მარგანეცს.

ამავე დღეს ამხ. გოგუამ ორდენები და მედლები გადასცა ქალაქ ჭიათურის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონების მასწავლებლებს, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 2 მარტის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის. დაჯილდოებულ მასწავლებელთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ლენინის ორდენოსნებმა სალომე საყვარელიძემ, ელეფთერ ლვალაძემ და ერემია კაპანაძემ.

მათ მადლობა გადაუხადეს პარტიას, მთავრობას, დიდ სტალინს მასწავლებლობაზე მამობრივი მზრუნველობისათვის და პირობა დადეს მეტი ენერგიით იმუშაონ ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

დასასრულ დაჯილდოებულთ მაღალი ჯილდოები მიულოცა ამხ. ვ. გოგუამ, რომელმაც გაამახვილა ყურადღება მარგანეცის მნიშვნელობაზე სახალხო მეურნეობისათვის და იმ დიდ და საპატიო ამოცანებზე, რომლებიც მარგანეცის მრეწველობის მუშაკთა წინაშე დგას. ამხ. გოგუამ რწმენა გამოთქვა, რომ ჭიათურელი მაღაროელები იბრძოლებენ ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისა და ახალი ტექნიკის დანერგვისათვის.

ამხ. გოგუამ მიულოცა აგრეთვე დაჯილდოებულ მასწავლებლებს და წარმატება უსურვა მათ ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

საბჭოთა მწერლების კავშირისა და ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის მისალმება მარტინ ანდერსენ ნექსესადმი

ცნობილი დანიელი მწერლის და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის მარტინ ანდერსენ ნექსეს დაბადების 80 წლისთავსა (რაც 26 ივნისს შესრულდა) და მისი ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწეობის თითქმის 60 წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირმა და ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურულმა ინსტიტუტმა იუბილარს მიმართეს მისასალმებელი წერილებით.

საბჭოთა მწერლები წერენ:

— დღეს მთელი მსოფლიოს მილიონობით თქვენს მკითხველებთან და პატივისმცემლებთან ერთად გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო ნექსე, ჯანმრთელობას და ახალ ძალებს შემდგომი შემოქმედებითი მუშაობისათვის და მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის საბრძოლველად. ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს უდიდეს ნიჭს, თქვენს ერთგულებას ხალხისადმი, მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიისადმი. თქვენი წიგნებით, სიტყვებით, სტატიებითა და პირადი მაგალითით თქვენ ნერგავთ სიმტკიცეს, იდეურობას, სიყვარულს კულტურისადმი, შრომის ადამიანებისადმი, სიძულვილს ექსპლოატატორებისადმი, სხვა ხალხთა იმპერიალისტი მჩაგვრელებისადმი. თქვენ გწამთ ხალხის მასების ძლიერება და მასებს უნერგავთ გამარჯვების რწმენას.

ა. მ. გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის პროფესორთა, მასწავლებელთა, სტუდენტთა და თანამშრომელთა კოლექტივის მისალმებაში ნათქვამია:

— სიცოცხლის სიყვარული, შემოქმედებითი ენერგია, სოციალისტური იდეალებისათვის მებრძოლისა და მხატვრის ახალგაზრდა სული — ეს არის თქვენი ისეთი თვისებები, რომლებისთვისაც მხურვალე სალამს გითვლით და გაცნობებთ, რომ გამსჭვალული ვართ თქვენდამი დიდი მეგობრობის გრძნობით. (საქდესი).

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 1949 წლის 25 ივნისის ცნობებით)

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიურისა	გეგმის შესრულება პროცენტობით: ივნისისა მაისის დანაკლისის ჩათვლით
ბათუმის	31,0	65,9
ქობულეთის	33,0	75,8
სულ აჭარაში	**32,5**	**73,6**
გალის	41,6	80,6
ოჩამჩირის	41,9	82,7
გულრიფშის	57,5	65,4
სოხუმის	42,2	70,9
გუდაუთის	45,2	73,7
სულ აფხაზეთში	**42,3**	**80,5**
მახარაძის	35,3	80,2
ჩოხატაურის	34,6	55,1
ლანჩხუთის	34,7	66,3
სამტრედიის	45,0	65,6
წულუკიძის	44,7	59,9
ქუთაისის	64,7	116,9
წყალტუბოს	41,0	63,8
ტყიბულის	43,2	100,8
ცხაკაიას	39,8	66,0
აბაშის	45,8	73,1
გეგეჭკორის	45,2	82,1
ზუგდიდის	40,3	78,9
წალენჯიხის	37,3	65,1
ჩხოროწყუს	38,8	72,3
ხობის	35,9	52,2
ჩხარის	50,5	25,7
ზესტაფონის	56,5	103,3
სულ საქართველოს სსრ	**37,6**	**75,6**

ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის, ტყიბულის, ზესტაფონისა და ჩხარის რაიონების ცნობები არასრულია.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ვ. პ. ვოლგინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის განმავლობაში ნაყოფიერი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, აკადემიკოსი ვიაჩესლავ პეტრეს-ძე ვოლგინი დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 25 ივნისი

ორპროცენტიანი სესხის მოგებათა ტირაჟი

სტალინგრადი, 26 ივნისი. (საქდესი). დღეს აქ შედგა 1948 წლის სახელმწიფო ორპროცენტიანი სესხის მოგებათა მესამე ტირაჟი. გათამაშდა 447.494.400 მანეთის 918 ათასი მოგება.

რუსეთის დიდების ძეგლები

პოლოცკი, 25 ივნისი. (საქდესი). პოლოცკის ოლქის რაიონებში დაიწყო რუსეთის დიდების ისტორიული ძეგლების აღრიცხვა.

დასავლეთ დვინის ნოლაში, სადაც რუსეთის ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ ნაპოლეონის არმიასთან, დღემდე დაცულია 1812 წლის სამამულო ომის გმირთა ძეგლები. პოლოცკის ახლოს სოფელ კლიასტიცში დაცულია მშობლიური სოფლიდან ორ კილომეტრზე სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპული ცნობილი რუსი გენერლის იაკობ კულნევის ძეგლი. ობელისკი, რომელიც გერმანელთა ბომბების ნამსხვრევებმა დააზიანა, აღდგენილ იქნება თავდაპირველი სახით. აღრიცხულია 1812 წლის სამამულო ომის გმირთა ძეგლი, აგებული ქალაქ დრისაში, რომლის რაიონშიც ძლიერი ბრძოლები იყო გადასასვლელისათვის. რუს ჯარისკაცთა ძეგლი დაცულია დაბა დუნილოვიჩის ბაღში.

რუსეთის დიდების ძეგლები აღრიცხულია აგრეთვე დასავლეთ დვინის ნაპირებზე დისნის და მიორის რაიონებში, სადაც ისტორიული ბრძოლები გაიმართა ნაპოლეონის ურდოების წინააღმდეგ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში შედგა თათბირი მოსავლის აღების კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისა და ამოცანების საკითხზე. თათბირს ესწრებოდნენ სასოფლო რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და კინემატოგრაფიის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, სახელგამის, „საქწიგნის" და ცეკავშირის წარმომადგენლები.

თათბირმა მოისმინა ინფორმაცია ადგილებიდან. გამოირკვა, რომ სოფლის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას და აგიტაცია სოფლად ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაშლილი.

თათბირმა აღნიშნა, რომ ამჟამად პარტიული ორგანიზაციებისა და აგიტატორების მთავარი ამოცანაა უზრუნველყონ ყოველდღიური კონკრეტული ხელმძღვანელობა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეობების, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრებისადმი და დარაზმონ სოფლის მეურნეობის მუშაკები მოსავლის აღების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების წარმატებით ჩასატარებლად.

აგიტატორებმა სოფლის მოსახლეობას ყოველდღიურად უნდა გააცნონ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა. აგიტატორების მოვალეობაა განუმარტონ კოლმეურნეებს მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისა და მარცვლეულის სახელმწიფოსათვის დროულად ჩაბარების პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა.

— პირველი განაღები, საუკეთესო, რჩეული მარცვლეული სახელმწიფოს! — ამ ლოზუნგით უნდა გააჩაღონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა აგიტატორებმა სოფლის მშრომელებთან.

აგიტატორის მოვალეობაა ხელი შეუწყოს კოლმეურნეთა შორის სიფხიზლის გამახვილებას. საჭიროა თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დოვლათს. მარცვლეულის საწყობებთან, კალოებზე მუდამ უნდა იმყოფებოდნენ დარაჯები; სრულ წესრიგზე უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

თათბირმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი:

ყველა იმ რაიონში, სადაც იწყება მოსავლის აღება, პარტიულმა ორგანიზაციებმა უახლოეს დღეებში უნდა გამოჰყონ აგიტატორები ყოველ ბრიგადაში, ყოველ რგოლში. მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ფართოდ ჩააბან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებსაც უნდა დაეკისროთ საუბრების ჩატარება მეცნიერულ-პოპულარულ და სასოფლო-სამეურნეო თემებზე.

1 ივლისამდე უნდა ჩატარდეს სოფლად რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების პოლიტიკური მოხსენებანი თემაზე: „მოსავლის აღებისა და დამზადებათა ბოლშევიკური პროგრამა და სოფლის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები".

უნდა მოეწყოს მარცვლეული მეურნეობის რაიონებში აგიტატორთა ზონალური სემინარები—„1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასწავლად.

მოსავლის აღების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გადატანილ უნდა იქნას მინდვრად. აგიტატორი უნდა იყოს იქ, სადაც წყდება საქმის წარმატება — მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადებში, კომბაინის აგრეგატთან, სალეწ მანქანასთან.

ფართოდ უნდა მოეწყოს საბჭოთა აგრონომიული, საბუნებისმეტყველო მეცნიერების, სტალინური პრემიის ლაურეატების, სოციალისტური შრომის გმირების და სოფლის მეურნეობის სხვა მოწინავეთა მიღწევების პოპულარიზაცია.

მკვეთრად უნდა ამაღლდეს აგიტაციის იდეური დონე, გაუმჯობესდეს მისი შინაარსი.

ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარი ფორმები, რომლებმაც გაამართლეს თავიანთი დანიშნულება: საუბრები, მოხსენებები, ლექციები, გაზეთების კითხვა, კედლის გაზეთები, რადიო, კინო, თვალსაჩინო აგიტაცია.

უზრუნველყოფილ იქნას მინდვრად საველე გაზეთების გამოშვება, სადაც გაშუქდეს ბრიგადების, რგოლების, თვითეული მოწინავე კოლმეურნის საქმიანობა, მხილებულ იქნან ზარმაცები და შრომის დეზერტირები.

თათბირზე შემუშავებულ იქნა აგრეთვე ღონისძიებანი მოსავლის აღების დღეებში კოლმეურნეთა კულტურული მომსახურების გასაძლიერებლად. რაიონებში გაიგზავნებიან სააგიტაციო-მხატვრული ბრიგადები, მოძრავი კინო. რადიოკომიტეტი გააძლიერებს მოსავლის აღების მიმდინარეობის გაშუქებას. რაიონებსა და სოფლებში გაიგზავნება პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა.

რესპუბლიკურმა, საოლქო და რაიონულმა გაზეთებმა ფართოდ უნდა გააშუქონ მოსავლის აღების კამპანიასთან დაკავშირებით მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები და მოწინავე აგიტატორების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა, სოციალისტური შრომის გმირების, სტალინური პრემიის ლაურეატების, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილება.

შუშის ქარხნის რაციონალიზატორები

ბორჯომი. (საქ. კორ.). შუშის ქარხანაში უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში 18 რაციონალიზატორული წინადადება შემოვიდა. მათი უმრავლესობა უკვე განხორციელებულია, ხოლო ზოგიერთი დამუშავების პროცესშია. განხორციელებული წინადადებების შედეგად ქარხანამ გასულ წელს 143.656 მანეთი ეკონომია მიიღო.

ქარხნის მექანიკოსმა ვლ. ტიგიშვილმა გაუმჯობესება შეიტანა მანქანის მუშაობაში, რის შედეგად ქარხანაში ადგილი აღარ აქვს გამდნარი შუშის ტემპერატურის ცვალებადობას, საგრძნობლად გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემსუბუქდა შრომა.

მექანიკოს ი. სამხარაძის წინადადების განხორციელებით გაუმჯობესდა ნედლი მასალის საფქვავი მოწყობილობა, რითაც 30 პროცენტით შემცირდა მანქანის მოცდენა და ქარხანამ 2.500 მანეთი ეკონომია გასწია. ასევე განხორციელებულ იქნა და გაზარდა შრომის ნაყოფიერება გ. ზაქაშვილის წინადადებამ, რომელმაც გაუმჯობესება შეიტანა ხის ფიგურული ნაწილების ჩქარი ჭრის საქმეში.

შუშის ქარხანაში ამჟამად გამოცხადებულია საუკეთესო რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორების კონკურსი და გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფულადი ჯილდო 10 ათასი მანეთის რაოდენობით. კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა მრავალმა რაციონალიზატორმა, მათ შორის მოძმე რესპუბლიკების შუშის ქარხნების სპეციალისტებმა.

ქარხნის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომისია ინჟინერ ი. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით უახლოეს ხანში შეუდგება შემოსულ წინადადებათა განხილვას.

60 ათასი მანეთი ჯილდო ფაბრიკის მშენებლებს

ტყიბული. (საქ. კორ.). საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებით 1949 წლის პირველ კვარტალში მოპოვებული წარმატებისათვის ტყიბულის ქვანახშირის გამაუხვებელი ფაბრიკის მშენებლებს მიეკუთვნათ ფულადი პრემია 60 ათასი მანეთის რაოდენობით.

საკოლმეურნეო მშენებლობანი

ქარელი. (საქ. კორ.). სოფელ ფცის კოლმეურნეებმა თავიანთი ინიციატივით ააგეს სასოფლო კლუბი და საკოლმეურნეო აბანო.

საკოლმეურნეო კლუბის, აბანოს და საწყობის მშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე დიდი ახალსოფლის კოლმეურნეობაში.

ატოცელმა კოლმეურნეებმა განაახლეს 8-წლიანი სკოლის მშენებლობა, რაც დროებით შეჩერებული იყო. სკოლის ახალი შენობა საექსპლოატაციოდ გადაეცემა მომავალი სასწავლო წლიდან.

რუსთავის თბოელექტროცენტრალი ამაღლობის გზაზე

რუსთავის თბოელექტროცენტრალის დანიშნულებაა უზრუნველყოს მეტალურგიული ქარხნის საამქროები ელექტროენერგიით და გარკვეული წნევის ჰაერით (ბრძმედები), აგრეთვე მომსახურება გაუწიოს ქალაქ რუსთავის მოსახლეობას. აღსანიშნავია, რომ რუსთავის მოსახლეობა ბინების გათბობისა და შინა-საოჯახო მოხმარებისათვის მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება ცხელი წყლით, ხოლო ელექტროენერგიის ჭარბი მარაგი გადაეცემა თბილისს.

მიმდინარე წლის 24 იანვარს დაიწყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პირმშოს — თბოელექტროცენტრალის საწარმოო ცხოვრება. ამოქმედდნენ მძლავრი თბოელექტროდანადგარები, რომლებმაც დაიწყეს ელექტროენერგიის გამომუშავება.

სადგურმა თავისი მუშაობის პირველი პერიოდიდანვე დაიწყო საწარმოო პროგრამის წარმატებით შესრულება და შესანიშნავ ტექნიკურ - ეკონომიურ მაჩვენებლებს მიაღწია. ელექტროენერგიის გამომუშავების მარტის გეგმა 122,4 პროცენტით შევასრულეთ, ხოლო პირველი კვარტალისა — 11 პროცენტის გადაჭარბებით. თბოცენტრალის კოლექტივმა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულება სასახელოდ გაანაღდა და სადგურის პირველი რიგის მაქსიმალური სიმძლავრე აითვისა. აპრილის დავალება, მიუხედავად იმისა, რომ იგი 41 პროცენტით აღემატებოდა მარტისას, 103 პროცენტით შესრულდა, ხოლო მაისისა — 105 პროცენტით. ქვანახშირის ხარჯი აპრილში ერთ გამომუშავებულ კილოვატსაათ ენერგიაზე მარტთან შედარებით 9 პროცენტით შემცირდა. ელექტროენერგიის ხარჯი სადგურის საკუთარი მოხმარებისათვის 20 პროცენტით არის შემცირებული. მნიშვნელოვნად შემცირებულია აგრეთვე გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება.

ეს პირველი საწარმოო მიღწევები მით უფრო აღსანიშნავია, რომ ისინი მოპოვებულია თბოელექტროცენტრალის ახალგაზრდა კოლექტივის თავდადებული მუშაობით და სწავლით, კოლექტივისა, რომლის 90-მდე პროცენტს 1926 წელს დაბადებული ქართველი კოლმეურნე ახალგაზრდობა შეადგენს.

ენერგიული შრომითა და გულმოდგინე სწავლით განსაკუთრებულ შედეგებს მიაღწიეს გ. კუპრაშვილმა და ა. ჯოჯუამ, რომლებმაც დამსახურებულად მოიპოვეს ოსტატობის ხარისხი, პირველმა სატურბინო და მეორემ საქვაბე საამქროში, სადაც ისინი ამჟამად ცვლის უფროსებად მუშაობენ.

თბოელექტროცენტრალის კოლექტივის მოწინავე რიგებში არიან და თავიანთი სპეციალობის ჭეშმარიტ ენთუზიასტებად ითვლებიან ტურბინის მემანქანეები გ. ბასილაშვილი, თ. მენთეშაშვილი და ლ. კემაშვილი, ცეცხლფარეშები დ. ენუქიძე და ო. ლეკიშვილი, მთავარი ელექტროფარის მორიგეები ი. გოგოლაძე, შ. ცუხიშვილი და ნ. ჭელიძე, ქიმიური საამქროს უფროსი მორიგე ბარამიძე, ელექტროლაბორატორიის და ავტომატიკის უფროსი ელექტრომონტიორები სოსელია და ჯარაია, საწვავ - მომწოდებელი საამქროს ცვლის უფროსები ნ. გოგოლაშვილი, სუხიტაშვილი და სხვები. რთულ ტექნიკა-ავტომატიკის ათვისებაში და ახალგაზრდა კოლექტივის აღზრდა-განვითარების საქმეში აღსანიშნავია საამქროს უფროსების ამხ. შ. შარაბიძის, ვ. რომანიუკის, ა. ჩუბინიძის და ფ. სართანიას ენერგიული მუშაობა.

ამჟამად თბოცენტრალის კოლექტივი თავისი განვითარების შემდგომ ფაზაში შევიდა. მორიგ ამოცანათა შორის ძირითად ამოცანებს შეადგენენ: თბოცენტრალის პერსონალის ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავება, ტექნიკურ - ეკონომიური მაჩვენებლების აყვანა საბჭოთა კავშირის მოწინავე თბოცენტრალების მაჩვენებელთა დონემდე.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის ახალგაზრდა კოლექტივის მიერ მოპოვებული პირველი წარმატებანი ჩვენი დიადი ბოლშევიკური პარტიის შეუნელებელი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგია. ჩვენი კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ უკეთ დაეუფლოს თბოელექტროცენტრალის რთულ ტექნიკას, მოიპოვოს უფრო დიდი წარმატებანი.

ინჟინერი რ. მონასელიძე

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის უფროსი

სემინარები მეცხოველეობის საკითხებზე

დმანისი. (სპეც. კორ.). პარტიის დმანისის რაიონულმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეცხოველეობის ფერმებში ზოოტექნიკური პროპაგანდის გაჩაღებას. ვეტექიმების და ზოოტექნიკური ძალებით ამას წინათ სასაქონლო ფერმების მუშაკებისათვის სოფელ შახმარლოს საზაფხულო საძოვრებზე, სადაც იმყოფება 5 კოლმეურნეობის სარძეო ფერმის საქონელი, მოეწყო მოკლევადიანი სემინარი თემაზე: „საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები", „საქონლის მოვლა-შენახვა საგაზაფხულო საძოვრებზე" და სხვ. მოხსენებები გააკეთეს პარტიის რაიონული კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ზოოტექნიკოსმა დ. ანდღულაძემ და ზოოტექნიკოსმა გ. გიორგობიანმა.

ასეთივე მოკლევადიანი სემინარი მოეწყო სოფელ ბეზალკის, კარაბულახის, ჩათახის, საპერკლოს და სხვა საძოვრებზე. საუბარი ჩაატარეს ზოოტექნიკოსმა ვ. გამყრელიძემ, ვეტექიმებმა ა. მორჩაძემ, ტ. არჩუაძემ, გ. ბასილაშვილმა. მათი საუბრების თემა იყო: „მიჩურინული ბიოლოგია და მეცხოველეობის განვითარების ამოცანები", „ხბოს აღზრდა, მოვლა და კვება", „როგორ გავადიდოთ წველადობა ფერმებში", „პროფილაქტიკური ღონისძიებანი მეცხოველეობაში".

ახალი საბჭოთა მეურნეობა

ფოთი. (საქ. კორ.). გასული წლის მაისში სოფელ ჭალადიდში მოეწყო ციტრუსოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ა. კალაძე).

ერთი წლის მანძილზე აქ ათვისებულია 252 ჰექტარი მიწა. წელს დათესილია 42 კილოგრამი ტრიფოლიატის და 10 კილოგრამი დრაცენის თესლი.

მეურნეობის გარშემო გაკეთებულია ქარსაფარი ზოლები, დარგულია კრიპტომერიის, ჭადრის, ალვისა და სხვა ხეები.

გ ე გ მ ე ბ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ა

მახარაძის რაიონული სამრეწველო კომბინატის აგურის ქარხნის კოლექტივმა ვადამდე გაანაღდა მიმდინარე წლის მეორე კვარტალის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 57.000 ცალი გამომწვარი აგური.

ბორჯომის კალინინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივს პირველი კვარტალის საწარმოო გეგმის მაღალი მაჩვენებლებით შესრულებისათვის რამდენიმე დღის წინათ გადაეცა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი დროშა და პრემია 100.000 მანეთის რაოდენობით.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა საერთო და აგრეთვე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 20 ივნისს.

გ. ზამბახიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი

თბილისის ბოლშევიკები ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში

საქართველოს კომუნისტური პარტიის XIV ყრილობამ, შეაჯამა რა განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა, შრომისა და ბრძოლის ნათელი პროგრამა დაგვისახა. მკვეთრად გავაუმჯობესოთ მრეწველობის მუშაობა, უკეთ ვუხელმძღვანელოთ კაპიტალურ მშენებლობას, გავაძლიეროთ ადგილობრივი მრეწველობის, ვაჭრობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაობა, ფართოდ გავშალოთ დედაქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, მოწოდების დონეზე დავაყენოთ სკოლებში მეცნიერებების საფუძვლების სწავლება, გავაჩაღოთ მუშაობა ფიზკულტურისა და სპორტის დარგში, ფართოდ გავშალოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მასებში,—ასეთია ზოგადად ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა კარგად იციან, რომ ამ პასუხსაგები ამოცანების გადაჭრისათვის საჭიროა „გაუმჯობესდეს ჩვენი მუშაობის ხარისხი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის ახალ საფეხურზე აყვანა და კი არ შეცვალონ ისინი პრაქტიკულ მუშაობაში, არამედ მთელი მათი ძალები და შესაძლებლობანი გამოიყენონ საქმის ინტერესებისათვის" (კ. ნ. ჩარკვიანი). ასრულებენ რა ამ მითითებას, ყრილობიდან განვლილ პერიოდში თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს დედაქალაქის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

როგორ ახორციელებენ პარტიული ორგანიზაციები მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის გასაუმჯობესებლად დასახულ ღონისძიებებს?

თვალსაჩინო შედეგებია მიღწეული თბილისის მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს ქალაქის მრეწველობის მუშაობის ხუთი თვის შედეგები. ხუთი თვის დავალება დედაქალაქის მრეწველობამ 104,8 პროცენტით შეასრულა და 14.300.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა სახელმწიფოს. გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წლის საწარმოო წარმატების ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს ის, რომ დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდნენ მთელი რიგი წინათ ჩამორჩენილი ფაბრიკა-ქარხნები.

მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ ისეთი საწარმოები, როგორიც არიან ფეხსაცმლის პირველი და მეორე ფაბრიკები, თამბაქოს პირველი ფაბრიკა და მრავალი სხვა. მათი საწარმოო წარმატებანი განპირობებულია იმით, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით გააუმჯობესეს მუშაობა და პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის სწორი შეხამებით უზრუნველყვეს საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

შარშან თბილისის თამბაქოს პირველმა ფაბრიკამ, რომელიც ერთ-ერთ დიდ საწარმოს წარმოადგენს, თავი ვერ გაართვა დავალებას და საგრძნობლად ჩამორჩა გეგმის შესრულებაში. ფაბრიკაში ადგილი ჰქონდა ნედლეულის გადახარჯვას და პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას. ფაბრიკის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ აქ ნაკლებად ზრუნავდნენ მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის, არ ახორციელებდნენ საჭირო ტექნიკურ ღონისძიებას, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ფაბრიკის მატერიალურ - ტექნიკურ მომარაგებას, კოლექტივს არ რაზმავდნენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ფაბრიკის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყრილობის შედეგებს რომ იხილავდა, წინასწარ შეამოწმა საწარმოს ყველა უბანი, შეისწავლა ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები და ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მიღებული დადგენილებით დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. პარტიული ორგანიზაციის დადგენილება სახელმძღვანელო პროგრამა გახდა ფაბრიკის კოლექტივისათვის; გაჩაღდა ბრძოლა საამქროების შეწყობილი მუშაობისათვის. გაუმჯობესდა ბრიგადების მომარაგება ნედლეულით, გაიშალა შეჯიბრება კარგი და იაფი პროდუქციისათვის. სამაგალითოდ შრომობდნენ კომუნისტები. ისინი იბრძოდნენ არა მხოლოდ იმისათვის, რომ თვითონ მოეპოვებინათ კარგი საწარმოო მაჩვენებლები, არამედ ქმედითად ეხმარებოდნენ ამხანაგებს, უპარტიო მუშებს სტახანოვური შრომის მეთოდების დაუფლებაში. პარტიული ორგანიზაციის ამ ღონისძიებებმა თავისი ნაყოფი გამოიღო: წელს ფაბრიკამ ხუთი თვის დავალება 119,8 პროცენტით შეასრულა, ამასთან დაზოგა 14,4 ტონა ნედლეული და მნიშვნელოვნად გააიაფა პროდუქცია.

პარტიული ორგანიზაციების მიერ მასალისა და სათბობის ეკონომიურად ხარჯვისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის გაჩაღებული ბრძოლის მეოხებით წელს ჩამორჩენას თავი დააღწია არა ერთმა და ორმა საწარმომ. მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის ამაღლებისათვის. „სამტრესტის" (მმართველი ამხ. პ. სოხაძე) საწარმოებში ხორციელდება ღონისძიებანი მაღალხარისხოვანი მარკიანი, დაძველებული ღვინოებისა და კონიაკის წარმოების გასადიდებლად.

თბილისის მრეწველობის საწარმოო გამარჯვებებში თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე დედაქალაქის ბოლშევიკების ზრუნვა იმისათვის, რომ, როგორც ყრილობის რეზოლუცია გვავალებს „მიღწეულ იქნას ნედლეულისა და მასალის, სათბობის და ელექტროენერგიის ყაირათიანად და მომჭირნეობით ხარჯვა და შინაგანი რეზერვების გამონახვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი მნიშვნელოვანი შემცირება და მრეწველობის მუშაობის რენტაბელობის ამაღლება".

ახლა თბილისში თითქმის არ არის ისეთი საწარმო, რომელიც რენტაბელურად არ მუშაობდეს. ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობამ მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშაობა. ამ საწარმოს კოლექტივმა ხუთ თვეში დაზოგა 35,7 ტონა ბამბა, 100 ტონა სათბობი, 80.400 კილოვატსაათი ელექტროენერგია, ამასთან თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერების გეგმა აქ შესრულებულია 112,9 პროცენტით. ყოველივე ამის შედეგად კომბინატმა პროდუქციის თვითღირებულება 11,7 პროცენტით გააიაფა და ხუთ თვეში სამშობლოს 2.245.000 მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მისცა. რენტაბელური მუშაობის შედეგად გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ და მასალებისა და ფინანსების დიდი დანაზოგი აქვთ აგრეთვე ქარხანა „დაზგას", ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხნებს, კამვოლ-მაუდისა და ჩაის ამწონ ფაბრიკებს.

კვლავინდებურად კარგად მუშაობს ქალაქის ტრანსპორტი, რომელსაც ინიციატივიანი და უნარიანი კომუნისტი ამხ. მ. ჩიკვაიძე ხელმძღვანელობს. გასულ ხუთ თვეში ქალაქის ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველომ მგზავრთა გადაყვანის გეგმა 134 პროცენტით შეასრულა, ამასთან დააჩქარა მოძრავი შემადგენლობის მიმოქცევა და საგრძნობლად გაადიდა ტრანსპორტის პარკის სიმძლავრე.

რკინიგზის თბილისისა და ნავთლუღის კვანძებს წამყვანი ადგილი უჭირავთ ამიერკავკასიის რკინიგზაზე. კვანძების საწარმოთა დიდი ნაწილი გამართულად მუშაობს. წელს თბილისის ელმავლების დეპო სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს დავალებას. დეპოელებმა ელმავლების რემონტის ხუთი თვის გეგმა 127 პროცენტით შეასრულეს, ამასთან ელმავლების ტექნიკური სიჩქარის დავალება განაღდებულია 104,7 პროცენტით, ხოლო სადღეღამისო გარბენისა — 104,5 პროცენტით. კარგად მუშაობს აგრეთვე თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი. აქ ორთქლმავლების გარეცხვითი რემონტის ხუთი თვის გეგმა 116,2 პროცენტით შეასრულეს, ამასთან „ავადმყოფი" ორთქლმავლების რაოდენობა შემცირებულია 4,7 პროცენტამდე, ნაცვლად ნორმით მოცემული 7,9 პროცენტისა.

დედაქალაქის მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი პატრიოტულმა მოძრაობამ საბრუნავი თანხების ბრუნვის დასაჩქარებლად. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მუშაობაში აღებული ტემპი უზრუნველყოფს საწარმოების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. წლის ბოლოსათვის სამშობლო მიიღებს რამდენიმე მილიონ მანეთს, რომელსაც გაათავისუფლებენ თბილისის საწარმოები საბრუნავი თანხების ბრუნვის დაჩქარების მეოხებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში კარგად მუშაობს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა, რომელმაც იკისრა საბრუნავი სახსრებიდან სამშობლოს გაუთავისუფლოს 500.000 მანეთი. დღეისათვის ქარხანამ 250.000 მანეთი ამოიღო ბრუნვიდან საწარმოს მუშაობის შეუფერხებლად.

როგორ სრულდება ყრილობის გადაწყვეტილება კაპიტალური მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ?

თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს მშენებლობის სამუშაოთა ფართოდ გასაშლელად, დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ყრილობაზე ამხანაგმა ჩარკვიანმა, ახასიათებდა რა ჩვენი მრეწველობის ნაკლოვან მხარეებს, განაცხადა: „განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მშენებლობის მხრივ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით, რომელმაც კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა შარშან 84,8 პროცენტით შეასრულა. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მშენებლობა აგრეთვე საფეიქრო მრეწველობის ხაზით, რომელმაც კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა გასულ წელს 82,8 პროცენტით შეასრულა". ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემული ეს კრიტიკა საფუძვლად დაედო ზემოხსენებული სამინისტროების სისტემის კაპიტალურ მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციების მთელ საქმიანობას. მშენებელმა კომუნისტებმა შეძლეს მასების დარაზმვა იმისათვის, რომ გადამწყვეტ უბნებზე მშენებლობა ეწარმოებინათ სწრაფად, კარგად და იაფად. მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მშენებელმა კომუნისტებმა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ უზრუნველყვეს ყრილობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულება და მთელ რიგ მნიშვნელოვან ობიექტებზე გრძელდება ჩამორჩენა.

რა მდგომარეობა გვაქვს ადგილობრივი მრეწველობის, ვაჭრობისა და სარეწაო კოოპერაციის ხაზით არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მათი მუშაობის გაძლიერების საქმეში?

გასულ ხუთ თვეში ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ბევრმა საწარმომ უზრუნველყო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და დავალებათა გადაჭარბებით შესრულება.

ქალაქის ადგილობრივმა მრეწველობამ 1 ივნისისათვის დავალება 101,8 პროცენტით შეასრულა და დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. არანაკლები წარმატებით აღინიშნა გასული პერიოდი სარეწაო კოოპერაციაში, რომელმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა დავალება ასორტიმენტის მიხედვით. ამასთან განხორციელებულ იქნა ღონისძიებანი ქარხნების სიმძლავრის გასადიდებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და თვითღირებულების შესამცირებლად. ფართო მოხმარების საგნების წარმოება გააუმჯობესეს სარეწაო კოოპერაციის სისტემის საწარმოებმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ გამოაშკარავა ნაკლოვანებანი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში, აღნიშნა, რომ საქონელბრუნვის დაგეგმვა და ქალაქებსა და სოფლებში საქონლის შეტანა ხდება მოსახლეობის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად. ამის გამო სავაჭრო ორგანიზაციებში ჩაწოლილი იყო დიდძალი საქონელი და ნორმატივის გადამეტებით არსებული საქონლის ნაშთის ღირებულებამ 200 მილიონ მანეთს გადააჭარბა ვაჭრობის სამინისტროსა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში. ყრილობის შედეგების განხილვისას სავაჭრო ორგანიზაციების პარტიულმა ორგანიზაციებმა, რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა დასახეს და განახორციელეს კონკრეტული ღონისძიებანი, რის შედეგადაც უკეთ მოეწყო საქონლის რესურსების განაწილება, მათი მომხმარებლისათვის მიწოდება, ამასთან ყურადღება გამახვილებულ იქნა ზედნადები ხარჯების შემცირებაზე, რაც წარსულში მოგების გეგმის შეუსრულებლობის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა. მიმდინარე წლის ხუთ თვეში მარტო ვაჭრობის სამინისტროს ხაზით ზედნადები ხარჯები შემცირებულ იქნა 1.131.000 მანეთით. ახლა სავაჭრო ორგანიზაციების ამოცანაა ზედნადები ხარჯების შემცირებასთან ერთად კიდევ უფრო უკეთ მოაწყონ საქონლის რესურსების განაწილება და გადაჭარბებით შეასრულონ საქონელბრუნვის გეგმა.

როგორ ხორციელდება ყრილობის გადაწყვეტილებანი თბილისის კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესების, მისი კეთილმოწყობის დარგში?

მიმდინარე წლის პირველ ხუთ თვეში ქალაქის კეთილმოწყობის სამუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილების ტრიბუნა

როგორ მოვიყვანეთ თამბაქოს უხვი მოსავალი

შრომა ჩვენს ქვეყანაში სახელისა და დიდების საქმეა. ყოველ კოლმეურნეს, მეურნეობრთოვანებს ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად დიდი სტალინის ის დიდი ყოველდღიური მზრუნველობა, რომელსაც ისინი იჩენენ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისადმი. ეს არის ჩვენი შრომითი გამარჯვებების საწინდარი. პირადად მე ათ წელზე მეტია მეთამბაქოობის დარგში ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში დიდი გამოცდილება შევიძინე. ენერგიული შრომის შედეგად გარშან მეოთხე ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 6,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 29,1 ცენტნერი „ტრაპიზონის" ჯიშის თამბაქო. დანარჩენ ფართობზე საშუალოდ მოვიყვანეთ 23 ცენტნერი. ამ წარმატებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭეს. როგორ მივაღწიეთ თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანას?

როგორც გამოცდილებამ დამარწმუნა, ყოველმა მეთამბაქოემ თავის მუშაობაში უნდა გაითვალისწინოს მთელი რიგი პირობები, როგორიცაა: ნიადაგის ვარგისიანობა, სითბო, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, ადგილის მდებარეობა, ქარების მოძრაობა და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა დანერგვას, მოწინავე კოლმეურნეთა მდიდარი გამოცდილების გამოყენებას.

თამბაქოსათვის ნიადაგის მომზადებას შემოდგომაზე ვაწარმოებთ. მთელი ფართობი მზრალად მოვხანით. გავიტანეთ ორგანული სასუქი ჰექტარზე 15-20 ტონის რაოდენობით. ადრე გაზაფხულზე მზრალი დავფარცხეთ. თამბაქოს დარგვის წინ ათი დღით ადრე შევიტანეთ მინერალური სასუქი ჰექტარზე 3 ცენტნერი. შემდეგ ნიადაგი კვლავ დავხანით, გავწმინდეთ ქვებისაგან და მოვასწორეთ. დარგვის დაწყებამდე გავიყვანეთ სარწყავი არხები. ნაკვეთები მივუჩინეთ რგოლებს, ხოლო რგოლებში კოლმეურნეებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეული და ჯანსაღი ნერგის მიღებას. 10 დეკემბრამდე დავამთავრეთ ღია სათბურებში თესვა და იმავდროულად მიმდინარეობდა მზადება ნახევრად თბილ სათბურებში თესვისათვის, რაც დამთავრდა 8 თებერვლამდე. სათბურში გამოცდილი კოლმეურნეები მუშაობდნენ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ღია კვლების მოვლას. ნერგის ზრდის დაჩქარების მიზნით ნიადაგში შეგვქონდა დამატებითი საკვები წყალში გახსნილი აზოტოვანი სასუქის სახით. თამბაქო სათუთი მცენარეა. გეგმაზომიერად ვაწარმოებდით რწყვას, დაჩრდილვას, გამოხშირვას, ნიადაგის გაპატივებას. უმთავრესად ჩითილს ვრწყავდით დათესვიდან ამოსვლის და გადარგვის პერიოდებში. პირველად დღეში ორ-სამჯერ ვრწყავდით, ნახევრად თბილ სათბურებში უფრო მეტჯერაც. ჩითილის გადარგვის მოახლოების დროს რწყვა გავაძლიერეთ.

სათამბაქოე ნიადაგი გულდასმით მომზადდა, და როცა რგვას შევუდექით, მთავარ ყურადღებას ვაქცევდით რგვის ხარისხს და ძირთა რაოდენობის შენარჩუნებას. მწკრივთა შორის მანძილი იყო 65 სანტიმეტრი, მცენარეთა შორის — 18 სანტიმეტრი. ამით უზრუნველვყავით ჰექტარზე 72-75 ათასი ძირი თამბაქოს შენარჩუნება. რგვიდან მესამე-მეოთხე დღეს ჩავატარეთ პლანტაციებში გამოკლებული ნერგის ჩამატება. რგვიდან რვა-ათი დღის შემდეგ შევუდექით პირველ თოხნას, რომელსაც წინ უძღოდა კულტივაცია. თოხნის წინ მწკრივებში შევიტანეთ აზოტოვანი სასუქი ფხვნილის სახით ჰექტარზე 1,5 ცენტნერის რაოდენობით. პირველი თოხნიდან 10-12 დღის შემდეგ პლანტაციები მეორედ გავთოხნეთ, რომლის წინ შევიტანეთ წუნწუხი.

სულ თამბაქოს პლანტაციები გავთოხნეთ ოთხჯერ და ამდენჯერვე კულტივაცია ჩავატარეთ. თამბაქო წამოიზარდა. შერჩევით და სისტემატურად ვაწარმოებდით თავების წატეხას, ხოლო ივნისის მეორე ნახევრიდან— ფურჩვნას.

თამბაქოს პირველი შეტეხის დაწყებისათვის კარგად მოვემზადეთ, წესრიგზე მოვიყვანეთ საშრობი ფარდულები. ფარდულებში ჩარჩოების გასაშლელად ნაკვეთები ბალახებისაგან გავწმინდეთ, რამაც ხელი შეუწყო თამბაქოს სწრაფად გაშრობას.

პირველი შეტეხა დავიწყეთ 10 ივნისიდან. შეტეხა მთელ სეზონში ჩატარდა ექვსჯერ იარუსებისა და ტექნიკური სიმწიფის მიხედვით. არ გვქონია ფოთლის გადამწიფების შემთხვევა. შეტეხილი თამბაქო იმავე დღეს მიგვქონდა ფარდულებში. მაღალხარისხოვანი თამბაქოს მიღებისათვის ვაწარმოებდით ჩაყვითლებას. ბრიგადასა და რგოლებში შრომა ისე იყო მოწყობილი, რომ თამბაქოს ძირითადი მოსავლის აღება 25 აგვისტომდე დავამთავრეთ. ამის შემდეგ 8 ჰექტარზე თამბაქოს ღეროები 2-3 კვირტზე გადავჭერით. ნიადაგი მოვრწყეთ, გავთოხნეთ, ჩავატარეთ კულტივაცია. ამით უზრუნველვყავით ჰექტარზე 3-4 ცენტნერი თამბაქოს დამატებით მიღება. მოსავლის აღების დამთავრებას როდი დაველოდეთ. ჩვენ ვაწარმოებდით პირველი შეტეხის თამბაქოს ჩაწყობას, დახარისხებასა და სახელმწიფოსათვის ჩაბარებას.

მოსავლის აღების მთელ პერიოდში სანიმუშოდ დავაყენეთ აღრიცხვა. ვაწარმოებდით აღებული თამბაქოს ზონარმეტრების ყოველდღიურ აღრიცხვას. დანაკარგებთან ბრძოლის მიზნით ფარდულებში მოვაწყეთ მიწურები, სადაც ხდებოდა თამბაქოს ფოთლების შერბილება. ჩამონაცვენ თამბაქოს მაშინვე ვაგროვებდით კალათებში. ასეთი მუშაობის შედეგად მოვიყვანეთ თამბაქოს უხვი მოსავალი.

წელს პირობას ვდებ უკეთესად მოვაწყოთ შრომა, სრულყოფილად გამოვიყენოთ აგროწესები და მიღებული გამოცდილება, მოვიყვანოთ 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 38 ცენტნერი თამბაქო, ხოლო დანარჩენ 8,25 ჰექტარზე საშუალოდ—30 ცენტნერი.

ჩვენ, მეთამბაქოეებს, საბრძოლო ამოცანები დაგვისახა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა. მან თქვა: „ჩვენს ქვეყანას დიდი რაოდენობით ესაჭიროება ქართული მაღალხარისხოვანი თამბაქო, ამასთან ერთად, თამბაქო ყველაზე შემოსავლიანი კულტურაა ჩვენი კოლმეურნეობებისათვის. საჭიროა უფრო ავამაღლოთ მეთამბაქოეობის დონე. თამბაქოს პლანტაციების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და პლანტაციების ერთგვარი გაფართოების გზით, უახლოეს 2-3 წელიწადში ჩვენ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ყოველწლიური ჩაბარება საქართველოში უნდა ავიყვანოთ 20.000 ტონამდე".

ამ მითითების შესრულებისათვის არ დავზოგავთ ჩვენს ძალღონესა და ენერგიას, თავდადებული შრომით უზრუნველვყოფთ აღებულ ვალდებულებათა განაღდებას და ჩვენს ქვეყანას მივცემთ მეტსა და მაღალხარისხოვან ქართულ თამბაქოს.

ილია ნატროშვილი

სოციალისტური შრომის გმირი, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომას" მეთამბაქოე ბრიგადირი.

ჩვენ გვწერენ

მეტი ყურადღება „კეხურა" ვაშლს

ბევრი კარგი ვაშლის ჯიშია გავრცელებული საქართველოში. ყველასათვის ცნობილია „ანტონოვკა", „შამპანური რენეტი", სინაპები და სხვა ჯიშები. ცნობილია აგრეთვე ვაშლის ქართული ჯიშები, როგორიცაა: „აბილაური", „ზერტულა", „კიტრა", „თურაშაული", „შახარა", „ხაბადა" და სხვ. მაგრამ ყველა ამ ჯიშების ვაშლი მაისის თვემდე თუ გასძლებს. მხოლოდ ერთადერთი „კეხურა" ვაშლი კარგად ძლებს ხილის მეორე მოსავლის მიღებამდე.

სად არის ამ ლამაზი, დიდად გამძლე ვაშლის ჯიშის სამშობლო? მისი სახელი მოწმობს, რომ ის გაჩენილა სოფელ კეხვში, რომელიც ათი კილომეტრითაა დაშორებული ქ. სტალინირიდან. ეს სოფელი ამჟამად შედის თამარაშენის სოფლის საბჭოში. აქედან „კეხურა" გავრცელებულია მრავალ სოფელში. ეს ჯიში ამჟამად შეტანილია რჩეული ვაშლის ასორტიმენტში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

„კეხურა" ვაშლის თვისებაა გვიან ყვავილობა. ძველი დაბერებული ხეები ადვილად იტანენ გადაბელვას. „კეხურა" მეხუთე წლიდან იწყებს კარგი და უხვი მოსავლის მოცემას. ქ. სტალინირში არის „კეხურას" ხეები, რომლებზეც თვითეულზე ჩამოდის 60 ფუთი ვაშლი.

„კეხურა" რა სიშორეზეც უნდა წაიღოთ, მოგზაურობის გავლენა მისთვის შეუმჩნეველია, გამძლეობაც გასაოცარია. ქ. სტალინირში გამოფენაზე წარმოდგენილი იყო „კეხურას" ორი ნიმუში ორ დიდ ყუთში: ერთი მათგანი გასული წლის მოსავლისა, მეორე მიმდინარე წლისა. მნახველი ვერ არჩევდა, რომელი მათგანი იყო წარსული წლის მოსავლისა, რომელი მიმდინარე წლისა.

„კეხურა" სუფრის დამამშვენებელია. გემოც კარგი აქვს მაის-ივნისში. მისი შენახვა ყველა ვაშლზე ადვილია.

მეტი რაოდენობით გავავრცელოთ ქართული ჯიშის ვაშლი „კეხურა".

აგრონომი ვ. ბიბილაშვილი

თელავის საგრენაჟო ქარხანამ შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

თელავის საგრენაჟო ქარხანამ 25 ივნისს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა შეასრულა. დამზადებულია 163,3 ცენტნერი საჯიშე აბრეშუმის პარკი. საშუალოდ 1 კოლოფ თესლზე მიღებულია 80 კილოგრამი პარკი.

პარკის დამზადება გრძელდება.

წერილი მოსკოვიდან

დედაქალაქის დიდი ნაგებობა

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

დედაქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში ფართოდ გაჩაღდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ახალი შენობის მშენებლობის სამუშაოები. ეს შენობა მოსკოვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შენობა იქნება.

უნივერსიტეტის ახალი 26-სართულიანი შენობის აგება 1951 წლის შემოდგომისათვის დამთავრდება. ამ მშენებლობის მასშტაბზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საჭიროა მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი. უნივერსიტეტის ახალი შენობა 150 ჰექტარ ფართობზე შენდება. ამ ფართობზე აგებულ იქნება ერთიანი არქიტექტურული კომპლექსი მთელი რიგი ნაგებობებისა, რომელთა საერთო მოცულობა 1.700.000 კუბმეტრს შეადგენს. უნივერსიტეტის ამჟამად არსებულ შენობებს უკავიათ 4 ჰექტარი ფართობი და 400 ათასი კუბმეტრი საერთო მოცულობა აქვთ.

უნივერსიტეტის ახალ შენობებში მოთავსებულ იქნება 125 ჯგუფური აუდიტორია, 28 დიდი სალექციო დარბაზი, 700 სხვადასხვა ლაბორატორია, გეოლოგიური, ისტორიული და გეოგრაფიული მუზეუმები, ბიბლიოთეკა, რომელშიც ნახევარ მილიონამდე წიგნი იქნება, სტუდენტთა კლუბი, სასპორტო დარბაზები და დახურული საცურაო აუზი.

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, 42 ჰექტარ ფართობზე, გაშენდება დიდი აგრობოტანიკური ბაღი. ცენტრში იქნება მწვანით დაფარული დიდი შენობა ბიოლოგიური ფაკულტეტისა, ხოლო ამ შენობის გარშემო მოეწყობა ორანჟერეიები, უზარმაზარი აკვარიუმები, გუბურები, სათბურები, სავეგეტაციო სახლები. 9 ჰექტარ ფართობზე აშენდება სტუდენტთა სასპორტო ქალაქი, რომელშიც იქნება 25 ათას ადგილიანი დიდი სტადიონი და რამდენიმე სასპორტო მოედანი. უნივერსიტეტის ცენტრალურ შენობაში მოწყობილ იქნება 2-3 და 4-ოთახიანი 300 ბინა მასწავლებელ-პროფესორთა შემადგენლობისათვის და 6 ათასი ოთახი ასპირანტებისა და სტუდენტებისათვის. თვითეულ სტუდენტს ექნება კარგად მოწყობილი ცალკე ოთახი და მეცადინეობისათვის საჭირო წიგნების ბიბლიოთეკა და სხვადასხვა სასწავლო ხელსაწყოები.

სტუდენტთა საერთო საცხოვრებელთან მოეწყობა პოლიკლინიკა, აფთიაქი, ბიბლიოთეკა, სასადილოები, სამრეცხაო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები, გარაჟები და სხვ. თავისი ტექნიკური მოწყობილობით მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობა მაღალ დონეზე იდგომება. აქ იქნება სწრაფმავალი უხმაურო ლიფტები. ყველა აუდიტორია, დარბაზი, ლაბორატორია, ყველა ბინა და საერთო საცხოვრებელი მიიღებს სუფთა კონდენსირებულ ჰაერს, ზაფხულში—გრილს, ზამთარში—თბილს. აუდიტორიებში, ლაბორატორიებში, დარბაზებში და სხვ. დაიდგმება ხატელევიზიო აპარატურა. უნივერსიტეტის რექტორს თუ დასჭირდება გაიგოს—რა ხდება ან რას აკეთებენ სტუდენტები ამა თუ იმ აუდიტორიაში, საკმარისი იქნება თითი დააჭიროს ღილს და მის წინ ეკრანზე, როგორც კინოში, გამოჩნდება „ცოცხალი ფოტო".

უნივერსიტეტის ახალი შენობის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა სამშობლოსაგან შესანიშნავ საჩუქარს მიიღებს. მსოფლიოში არსად არ იქნება უფრო კეთილმოწყობილი უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც შექმნილი იყოს ასეთი იდეალური პირობები მეცნიერების დაუფლებისათვის.

უხუცესმა რუსმა ქიმიკოსმა, მსოფლიო სახელის მქონე აკადემიკოსმა ნ. ო. ზელინსკიმ პროფესორთა, მეცნიერ მუშაკთა აზრი გამოხატა და თქვა: „ახალი უნივერსიტეტის დიადი გრანდიოზული გეგმა აჭარბებს არა მარტო ჩვენს მოლოდინს, არამედ ჩვენს ოცნებასაც".

უდიდესი მასა ახალგაზრდობისა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ყოველ წელიწადს ისწრაფვის მოხვდეს სასწავლებლად მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში. მაგრამ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის ოცნება განცხადების მიმცემთა დიდი უმრავლესობისათვის აუსრულებელი რჩებოდა. საქართველოში, სომხეთში, მოლდავეთში და სხვა რესპუბლიკებში საშუალო სკოლადამთავრებულ ასეულობით ახალგაზრდას მოსკოვის უნივერსიტეტში შესვლა არ შეეძლო მხოლოდ იმიტომ, რომ ამჟამად არსებული შენობა ვერ იტევდა ყველას, ვისაც სურდა იქ მიეღო უმაღლესი სწავლა.

მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობის მშენებლობის დამთავრების შემდეგ შეიძლება ერთიორად და უფრო მეტად გადიდდეს მოსწავლეთა კონტინგენტი, რაც შესაძლებელს გახდის დაკმაყოფილებულ იქნას საქართველოში, უკრაინაში, ლატვიაში და სხვა რესპუბლიკებში საშუალო სკოლადამთავრებულთა სურვილი უმაღლესი განათლების მოსკოვის უნივერსიტეტში მიღების შესახებ.

ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სხდომა

პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" კლუბში შედგა ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სხდომა.

მოხსენება ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მორიგი ამოცანების შესახებ გააკეთა საზოგადოების რესპუბლიკური საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. ე. ტატანაშვილმა.

— ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საორგანიზაციო ბიურომ, — განაცხადა მომხსენებელმა, — სერიოზული მუშაობა გასწია ამ საზოგადოებაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩასაბმელად. დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია ავიაციის ხელშემწყობი საზოგადოების 5.616 მეტი პირველადი ორგანიზაცია, რომლებშიც 171.000 წევრია გაერთიანებული. საზოგადოების აფხაზეთის, აჭარის საოლქო, თბილისის, ქუთაისის, საქალაქო, ზესტაფონის, კაჭრეთის და სხვ. რაიონული კომიტეტები და პირველადი ორგანიზაციები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში საავიაციო სპორტის დასანერგავად და გასავრცელებლად.

საზოგადოების საბჭომ ფარული კენჭისყრით აირჩია ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი, სარევიზიო კომისია და სრულიად საკავშირო საბჭოს წევრები.

ახლად არჩეულმა კომიტეტმა ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ამხ. ე. ტატანაშვილი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ — საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ა. გურგენიძე.

თივის აღება

საქართველოს კოლმეურნეობებში ბუნებრივი ბალახი 25 ივნისისათვის გათიბულია 10.125 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 4,2 პროცენტით.

წითელწყაროს რაიონში გათიბულია 2.290 ჰექტარი ბალახი, გეგმის 16,4 პროცენტი.

ლაგოდეხის რაიონში თიბვის დავალება 85,7 პროცენტით არის შესრულებული, გურჯაანის რაიონში — 55,6, სიღნაღის—38,7, ბოლნისის — 25,8, ყვარლის—25,7, თელავის—18,2 პროცენტით. თიბვა დაწყებულია აგრეთვე გარდაბნის, მცხეთის, თბილისის, კაჭრეთის, თეთრი წყაროს, დუშეთის, კასპის, ქარელის, ხაშურის და სხვ. რაიონებში.

შეტეხილია 158.362 ზონარმეტრი თამბაქო

25 ივნისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში შეტეხილია 158.362 ზონარმეტრი თამბაქო.

ლაგოდეხის რაიონში შეტეხილია 88.909 ზონარმეტრი თამბაქო, მარნეულის რაიონში—51.251, ბოლნისის — 10.835, ყვარლის — 3.705, სიღნაღის რაიონში—3.662 ზონარმეტრი.

ობებზე სულ დაიხარჯა 38.739.700 მანეთი. ეს ციფრი თვალნათლივ მოწმობს გაწეული მუშაობის მასშტაბს. ქალაქში მთავარ სამშენებლო ობიექტს კვლავ წარმოადგენს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე საყრდენი კედლის აგება და მეორე სანაპირო ქუჩის გაყვანა. მშენებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წელს, გაითვალისწინეს რა შარშანდელი გამოცდილება, საგაზაფხულო წყალდიდობის დაწყებამდე დაამთავრეს გეგმით გათვალისწინებული კედლის ამოყვანის სამუშაოები. სამუშაოების დროზე და ხარისხოვნად შესრულებამ მშენებლებს საშუალება მისცა ვერის რაიონში წარმატებით განახორციელონ მდინარის კალაპოტიდან მოჭრილი ნაკვეთის ბუნებრივი დასილვა მდინარის მიერ მოტანილი სილითა და შლამით.

ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოების წარმატება პირდაპირ დამოკიდებულია საშენი მასალების მომარაგებაზე. ამიტომ განვლილ პერიოდში პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიპყრობილი იყო აგურის ქარხნების მუშაობისადმი, მათი სიმძლავრეთა გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და დავალებათა შესრულებისადმი. ამის შედეგად ქალაქის აგურის ქარხნებმა ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით მოგვცეს 560.000 ცალი მაღალხარისხოვანი აგური.

საშენ მასალათა წარმოების უკეთ მოწყობამ სასურველი შედეგი მოგვცა ახალი შენობების აგებისა და არსებული საცხოვრებელი სახლების ფონდის შენარჩუნებაში. დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალი საუწყებო და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა როგორც ქალაქის ცენტრში, ისე განაპირა რაიონებში. წელს კაპიტალური და მიმდინარე რემონტი გაუკეთდა 314 სახლს, რაზედაც 6.954.900 მანეთი დაიხარჯა. მოასფალტებულია 47.000 კვადრატული მეტრი ქუჩები. თვალსაჩინო მუშაობაა გაწეული ქალაქის გამწვანებისათვის. წელს გაზაფხულზე თბილისის ქუჩებში და გზების გასწვრივ დარგულია 298.013 ძირი მარადმწვანე ხე და ბუჩქი.

დიდი დახმარება გაუწიეს ქალაქს გამწვანების საქმეში დასავლეთ საქართველოს მთელმა რიგმა რაიონებმა. მარადმწვანე, სუბტროპიკულ მცენარეთა ათიათასობით სალი ნერგი იქნა შემოზიდული ქალაქში მიმდინარე წლის მარტში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დახმარება, რომელიც ქალაქ თბილისს გაუწიეს ქობულეთის, ბათუმის, ზუგდიდის, გალის, სოხუმის და სხვა რაიონების ბოლშევიკებმა სუბტროპიკულ მცენარეთა ნერგით მომარაგების საქმეში.

ქალაქის არქიტექტურულ ნაგებობებს მალე დაამშვენებს თბილისის სადგური, რომელსაც უკეთდება ახალი ფასადი. დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სადგურის რეკონსტრუქცია საერთოდ. მთავრდება სადგურ ნავთლუღის საყრდენი კედლის ქვის ფილებით მოპირკეთება და რკინიგზის ხაზზე ახალი ხიდი — ვიადუკის აგება, რომელიც სადგურის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონის მცხოვრებლებს დააკავშირებს ცენტრთან.

დიდი მუშაობაა გაწეული ღვარსაშვები კოლექტორის ასაგებად საბჭოს ქუჩაზე, მზარდი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები ბულაჩაურიდან წყაროს წყლის მიღებასთან დაკავშირებით. ხრამჰესის ახალი აგრეგატის ამუშავებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქალაქის ელდენით მომარაგება, გადიდდა ელექტროქსელი, გაუმჯობესდა მშრომელთა მომსახურება.

ყრილობამ საბრძოლო ამოცანები დაგვისახა სკოლებში მეცნიერების საფუძვლების სწავლების გაუმჯობესებისა და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის უკეთ დაყენების საქმეში. როგორ ახორციელებენ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები ამ ამოცანებს?

სკოლებში მეცნიერების საფუძვლების, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ფიზიკა-მათემატიკის დისციპლინათა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ცხადყოფენ მიმდინარე წლის კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები. დამახასიათებელია, რომ წელს მნიშვნელოვნად შემცირდა იმ მოწაფეთა რაოდენობა, რომლებსაც საშემოდგომო გამოცდები მიეცათ, ხოლო გამოსაშვები კლასების თითქმის არც ერთი მოსწავლე არ „ჩაჭრილა" გამოცდებზე. რაც შეეხება რუსული ენის სწავლების ხარისხს, ამას ყველაზე უკეთ მოწმობს ის, რომ ეს დისციპლინა „ხუთზე" ჩააბარა მოსწავლეთა 20 პროცენტმა, ხოლო თითქმის ყველა დანარჩენმა — „ოთხზე" და „სამზე".

კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან მასებში სპორტის სხვადასხვა სახეების დასანერგავად. განვითარდა საფეხბურთო სპორტი, ახალი გუნდები ჩამოყალიბდა მთელ რიგ საწარმოებში. ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველომ შექმნა საუკეთესო ბაზა ფიზკულტურული მუშაობისათვის. ახლახან გაიხსნა კეთილმოწყობილი ახალი სტადიონი 26 კომისრის რაიონში. წარმატებით გამოდის ზონალურ შეჯიბრებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდი „სპარტაკი". რესპუბლიკის პირველობაზე ერთმანეთს ეცილება 52 ფეხბურთელთა გუნდი. ქალაქის თასის გათამაშებაში მონაწილეობს 26 გუნდი, ხოლო საკავშირო თასის გათამაშებაში — 85. საკლასიფიკაციო შეჯიბრებაში მონაწილეობს 42 ფეხბურთელთა გუნდი. ვითარდება სპორტის სხვა სახეები — ჭიდაობა, კრივი და სხვ.

როგორ იბრძვიან დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები ყრილობის დადგენილებათა განსახორციელებლად პარტიული მუშაობის უკეთ დაყენების დარგში?

როგორც დიდი სტალინი გვასწავლის „სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე, რომ ამ პირობის გარეშე სამეურნეო წარმატებანი შეიძლება ქვიშაზე აგებული აღმოჩნდეს". დედაქალაქის მრეწველობის, კაპიტალური მშენებლობის, კეთილმოწყობის და მუშაობის ყველა სხვა უბანზე არსებული წარმატებანი მიღწეულია იმით, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა აამაღლეს ბოლშევიკური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული მუშაობის დონე, ფართოდ გაშალეს პარტიის წევრთა და კანდიდატთა პოლიტიკური აღზრდა, გააუმჯობესეს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა კომუნისტთა პარტიული განათლების საქმე. ამჟამად პარტიული განათლების ქსელში და დამოუკიდებლად საკუთარი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის მუშაობს 36.000 კომუნისტი. ხუთ თვეში ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში, კლუბებში და პარტკაბინეტებში წაკითხულია 1.761 ლექცია, რომლებსაც 153.156 კაცი დაესწრო. ამაღლდა ლექციების ხარისხი, მრავალფეროვანი გახდა მათი თემატიკა.

პარტიულ მუშაობაში ძირითადია შესრულების შემოწმება. ძვირფასი ღონისძიება შეიძლება ფარატინა ქაღალდად იქცეს, თუ არ შემოწმდა მისი შესრულება. ეს კარგად ესმით ჩვენს პარტიულ მუშაკებს და, უზრუნველყოფენ რა მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე საქმიანი ღონისძიების დასახვას, შემდეგ თანმიმდევრულად აწყობენ შესრულების შემოწმებას, ქმნიან ყველა პირობას მისი უეჭველი განხორციელებისათვის.

პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია კადრების აღზრდისა და განაწილების საქმე. ამ მხრივ გაწეული მუშაობის ხარისხზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ გასულ ხუთ თვეში თბილისის კომიტეტის მიერ ხელმძღვანელ სამუშაოზე წამოყენებული 89 კომუნისტიდან, მხოლოდ 3 ამხანაგი შეიქნა შესაცვლელი იმისათვის, რომ მათ არ აღმოაჩნდათ საჭირო საქმიანი თვისებები. უნდა აღინიშნოს, რომ კადრების აღზრდა-დაწინაურების, რეზერვთან მუშაობის საქმე კარგად მოაწყეს პარტიის ლენინის, ორჯონიკიძის და ბერიას რაიკომებმა.

დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების ეს მიღწევები იმითაც უნდა აიხსნას, რომ პარტიულმა კომიტეტებმა გააძლიერეს დახმარება პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, რის შედეგადაც განმტკიცდა მათი კავშირი მასებთან, გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება მშრომელთა ფართო მასები, საგრძნობლად გაიზარდა ლენინურ-სტალინური კომკავშირის რიგები ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილის მიღებით, შესამჩნევად გაუმჯობესდა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საქმე.

ასეთია მოკლედ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაწეული მუშაობის პირველი შედეგები დედაქალაქში. მოპოვებულ სამეურნეო წარმატებათა მნიშვნელობა უდავოდ დიდია, მაგრამ ეს წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ მუშაობაში არ გვქონდეს ნაკლოვანებანი.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მუშაობის არსებითი ნაკლი ის არის, რომ ჩვენს სამრეწველო წარმატებებში ყველა საწარმოს თანაბარი წვლილი როდი მიუძღვის. ჯერ კიდევ არიან ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ გეგმას და თვიდან თვემდე ვალში რჩებიან სამშობლოს წინაშე. ამათ რიცხვში ითვლება დედაქალაქის 21 საწარმო, მათ შორის არიან ისეთი საწარმოები, როგორიცაა: ზეთსახდელი ქარხანა, პირველი და მეორე პურის ქარხნები, პირველი და მეორე სამკერვალო ფაბრიკები, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა და სხვა. ანალოგიური მდგომარეობაა ზოგიერთ სამშენებლო ობიექტზეც.

მაშასადამე, პარტიის საქალაქო კომიტეტის, რაიონული კომიტეტების და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ღრმად ჩასწვდნენ ჩამორჩენილი საწარმოების და სამშენებლო ობიექტების საქმიანობას, გამოავლინონ და სწრაფად აღკვეთონ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

შემდეგ, ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი რიცხობრივი მაჩვენებლის შესრულებას გამოედევნა და დღემდე გეგმებს ვერ ასრულებს ასორტიმენტის მიხედვით, უშვებს დაბალი ხარისხის პროდუქციას.

მაშასადამე, მომავალში ჩვენი მუშაობა უნდა წარვმართოთ იმისაკენ, რომ დავალება აუცილებლად სრულდებოდეს არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხის მიხედვით, ასორტიმენტის მიხედვით.

შემდეგ, თბილისის სავაჭრო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ საქონელბრუნვის გეგმებს, ადგილი აქვს გაფლანგვა-დატაცებას.

მაშასადამე, ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა უკეთ გამოვიყენოთ საქონლის რესურსები და შევასრულოთ საქონლის ბრუნვის გეგმა, დაუნდობლად ვამხილოთ და განვდევნოთ სავაჭრო ორგანოებიდან ქურდ-ბაცაცები, დავეხმაროთ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკებს საქონელბრუნვის სწორად დაგეგმვაში და საქონლის მომხმარებლამდე მიტანაში.

შემდეგ, ჩვენი ქალაქის განვითარებას ჩამორჩება ახლომდებარე კურორტების — კოჯრის, წყნეთისა და კრწანისის კეთილმოწყობა.

ამოცანა ის არის, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ქალაქის ახლომდებარე სამკურნალო ფაქტორები და ფართოდ გავშალოთ კეთილმოწყობის სამუშაოები დედაქალაქის ახლომდებარე კურორტებზე.

შემდეგ, მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაჩაღებასთან ერთად ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ფიზკულტურელთა კლასის ამაღლებას, მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადებას.

მაშასადამე, ჩვენი ღონისძიება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მასობრივად გაშლის საქმეში მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს მაღალი კლასის ფიზკულტურელთა, სპორტის ოსტატთა აღზრდას, რაც მასებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დაყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

შემდეგი ნაკლოვანება ის არის, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი ჯერ კიდევ ჯეროვნად არ არის დაუფლებული პარტიული მუშაობის ხელოვნებას და არ ძალუძს პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორი შეხამება. ეს მეტწილად ეხება ახალგაზრდა პარტიულ მუშაკებს, რომლებიც ახლახან მოვიდნენ ხელმძღვანელ სამუშაოზე.

პარტიის საქალაქო, რაიონული და საქარხნო კომიტეტების მოვალეობაა დაეხმარონ ახალგაზრდა მუშაკებს პარტიული მუშაობის რთული ხელოვნების დაუფლებაში, კონკრეტულად ასწავლონ მათ სამეურნეო წარმატებათა პოლიტიკური უზრუნველყოფა.

ბოლოს, სერიოზული ნაკლია ისიც, რომ ზოგიერთმა კომუნისტმა დამოუკიდებლად მუშაობის საფარველით სრულიად აიღო ხელი საკუთარი იდეურ-თეორიული მომზადების დონის ამაღლებაზე.

ამოცანა ის არის, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მეტი კონტროლი და დახმარება გაუწიონ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს, დროზე აღკვეთონ ნაკლოვანებანი ამ დარგში, უზრუნველყონ კომუნისტთა პარტიული განათლებისადმი მტკიცე ყოველდღიური ხელმძღვანელობა.

ამ ნაკლოვანებათა დაძლევა სწრაფად შეგვიძლია, თუ გამოვიჩენთ ბოლშევიკისათვის ჩვეულ პრინციპულობასა და თავდადებას მუშაობაში.

ქალაქ თბილისის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და მის მითითებათა განუხრელი შესრულების სულისკვეთებით აღზარდა სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა ლ. პ. ბერიამ, შემდეგშიც წმიდად დაიცავს და განუხრელად განაგრძობს ამ ტრადიციას. დედაქალაქის ბოლშევიკები, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გაამრავლებენ მოპოვებულ გამარჯვებებს და კვლავაც საქართველოს წინსვლის მებაირახტრენი იქნებიან.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 25 ივნისი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭოში გრძელდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხის განხილვა. ინგლისის წარმომადგენელი კადოგანი პირველი გამოვიდა და განაცხადა, ამ საკითხზე ჩემი მთავრობის პოზიცია უცვლელი დარჩა და მე იმის წინააღმდეგი ვიქნები, რომ გაერთიანებული ერების წევრად მიღებულ იქნან ალბანეთი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, ბულგარეთი, რუმინეთი და უნგრეთი, და მხარს დავუჭერ არგენტინის წინადადებას, რომ მიღებულ იქნან ტრანსიორდანია, პორტუგალია, ირლანდია, ავსტრია, იტალია, ფინეთი და ცეილონი.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა უკრაინის სსრ დელეგატმა დ. ზ. მანუილსკიმ, რომელმაც ცხადყო, რომ უშიშროების საბჭოში ამ საკითხის ამჟამად დაყენება მიზნად ისახავს არა ახალ წევრთა მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, არამედ ეს გარემოება გამოყენებულია მხოლოდ იმის საბაბად, რომ ახალი თავდასხმები მოაწყონ დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ და ერთხელ კიდევ გამოიწვიონ „ვეტოს უფლების" გამოყენება. მანუილსკიმ ამხილა ის საძრახისი როლი, რომელსაც ახალ წევრთა მიღების საკითხში ასრულებენ ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლები.

საფრანგეთის წარმომადგენელმა შოველმა გაილაშქრა საბჭოთა დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღებულ იქნას 12 სახელმწიფო ერთსა და იმავე დროს. იგი ამტკიცებდა, თითქოს ეს წინადადება ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. საფრანგეთის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა შეერთებული შტატების დელეგატის წინადადებას, რომელიც ამ დელეგატმა წინა სხდომაზე შეიტანა და რომელიც ეხება იმას, რომ კენჭისყრა ყოველ სახელმწიფოს შესახებ ცალკე მოხდეს.

შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ოსტინმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები თითქოს მიისწრაფვიან უნივერსალობისაკენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მაგრამ იქვე თქვა, რომ წინააღმდეგი იქნება იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღებულ იქნან ალბანეთი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, ბულგარეთი, უნგრეთი და რუმინეთი. ოსტინმა გაილაშქრა „ხანგრძლივ დისკუსიათა" წინააღმდეგ, შეეცადა ხელი შეეშალა იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიეღოთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, და მხარი დაუჭირა, ისევე როგორც საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლებმა, თავმჯდომარის მიერ წინათ გამოთქმულ აზრს, რომ უშიშროების საბჭოს შეტანილი რეზოლუციებისათვის კენჭისუყრელად მოახსენოს გენერალურ ასამბლეას, რომ შეუძლებელია ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევა. ასეთივე ხასიათის იყო ეგვიპტის წარმომადგენლის ფავზის გამოსვლა. შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლების აშკარა მხარდაჭერის შედეგად საბჭოს თავმჯდომარემ სუნდემ (ნორვეგია) ფორმალური წინადადება წამოაყენა ამის შესახებ. დისკუსიის შეწყვეტისა და საკითხის გადაწყვეტის კვლავ გადადების ცდის წინააღმდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ს. კ. ცარაპკინი, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა გაგრძელდეს ახალ წევრთა მიღების საკითხის განხილვა.

ამ საკითხის განხილვა გადატანილია უშიშროების საბჭოს შემდეგ სხდომაზე, რომლის თარიღიც დადგენილი არ არის.

გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის გლეხთა მეორე ყრილობა

ბერლინი, 24 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაიხსნა გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის გლეხთა მე-2 ყრილობა. ყრილობას ესწრება 360 დელეგატი და 400-ზე მეტი სტუმარი, რომელთა შორის არის დასავლეთ გერმანიის 40-მდე წარმომადგენელი.

ყრილობა გახსნა გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტების ზონალური გაერთიანების თავმჯდომარემ ოტო კერტინგმა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ვილჰელმ პიკმა.

ქალაქსა და სოფელს შორის კავშირი, რომელიც უფრო და უფრო მტკიცე ხდება, თქვა პიკმა, ჩვენი ზონის მშვიდობიანი ეკონომიკის წარმატებით განვითარების საიმედო გარანტიაა. გლეხთა მე-2 ყრილობამ, რომელსაც გერმანიის სოფლის ყველაზე მოწინავე ნაწილის წარმომადგენლები ესწრებიან, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს გერმანიის ერთიანობისათვის საყოველთაო ბრძოლის საქმეში.

გერმანიის ეკონომიური კომისიის თავმჯდომარემ ჰენრიხ რაუმ დელეგატებს მოუწოდა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ადგილებზე ახალი მოსავლის მოსავალი აღებისათვის მზადებას.

ყრილობამ დიდი ინტერესით მოისმინა დასავლეთ გერმანიის გლეხთა წარმომადგენლის რიხარდ შერინგერის სიტყვა.

ამხანაგებმა დამავლეს, თქვა შერინგერმა, განვუცხადოთ ამ ყრილობას, რომ ასიათასობით გერმანელი დასავლეთ გერმანიაში მხარს უჭერს გერმანიის გაერთიანებას.

შემდეგ საანგარიშო მოხსენება გააკეთა გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტების ზონალური გაერთიანების გენერალურმა მდივანმა კურტ ფიგემა.

საანგარიშო პერიოდში (I ყრილობიდან, რომელიც 1947 წლის ნოემბერში მოხდა), აღნიშნა მომხსენებელმა, ზონის გლეხთა ურთიერთდახმარების კომიტეტების გაერთიანებამ დიდი მუშაობა გასწია. საკუთარი მანქანებით მან გლეხობას 410 ათასი ჰექტარი მიწა მოუხნა და 200.000 ტონაზე მეტი მარცვლეული გაულეწა. მიწის რეფორმის გატარებიდან ზონაში აგებულია გლეხებისათვის 34 ათასამდე საცხოვრებელი სახლი. წელს დამატებით აშენდება 34 ათასი საცხოვრებელი სახლი და 40 ათასზე მეტი სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობა.

წარმატებით ვითარდება მეცხოველეობა.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

ფაშისტური ორგანიზაციის მეთაურისა და უცხოეთის დაზვერვათა აგენტის პროცესი პოლონეთში

ვარშავა, 26 ივნისი. (საკდესი). ვარშავის სამხედრო სასამართლოში უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს პოლონეთის ფაშისტთა მეთაურისა და გერმანიისა და ინგლის-ამერიკის ჯაშუშის ადამ დობოშინსკის საქმის მოსმენა. დობოშინსკი 1947 წლის ივლისში დააპატიმრეს.

საბრალდებო დასკვნის მასალების მიხედვით, 1933 წლის თებერვალში, უშუალოდ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას სათავეში ჰიტლერი ჩაუდგა, დობოშინსკიმ კონტაქტი დაამყარა გერმანიის დაზვერვასთან, რომლისაგან მიიღო დავალება სისტემატურად მიეწოდებინა ინფორმაცია პოლონეთში არსებული მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე გაეწია პროპაგანდა ჰიტლერულ გერმანიასთან პოლონეთის იდეოლოგიური დაახლოების მიზნით.

1945 წლის აპრილის დამლევს დობოშინსკის კავშირი გერმანიის დაზვერვასთან შეწყდა, და იგი ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში გადავიდა.

დობოშინსკი დაუკავშირდა ვატიკანს და იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც დემოკრატიის ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლაში ვატიკანი ხელმძღვანელობდა, და 1945 წლის ივნისში შეუდგა საერთაშორისო ორგანიზაცია „პაქს რომანას" პოლონეთის სექციის შექმნას და აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ორგანიზაციის ყრილობის მოწვევაში, რომელიც 1946 წლის მაისში შედგა ლონდონში.

იმავე დროს მან დაიწყო აქტიური მუშაობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფედერაციის კლუბში, რომელიც ინგლის-ამერიკის იმპერიალისტური წრეების აგენტურას წარმოადგენდა.

1946 წელს, მიუნხენში ყოფნის დროს, დობოშინსკიმ კონტაქტი დაამყარა პოლონელ ფაშისტებთან ბოგუნთან, ტოდლებენთან, ილაკოვიჩთან და კოზლოვსკისთან.

კოზლოვსკიმ, რომელსაც შერქმეული სახელი „ალექსანდრე" ჰქონდა, დობოშინსკის უამბო, რომ ძათი მიუნხენის ცენტრი და ორგანიზაცია პოლსკა თანამშრომლობენ ამერიკის დაზვერვასთან და რომ პოლონეთში არის ჯაშუშური ქსელი, რომელიც ამერიკის დაზვერვის ოფიცრის უშუალო ხელმძღვანელობით მოქმედებს.

„ალექსანდრემ" დობოშინსკის აგრეთვე უამბო, რომ თავის სადაზვერვო მუშაობაში მას კონტაქტი აქვს გერმანიის სადაზვერვო ქსელთან, რომელიც გენერალ გუდერიანის საშუალებით ამერიკის დაზვერვის ცენტრს ემორჩილება.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს „ალექსანდრემ" წინადადება მისცა დობოშინსკის შესულიყო სადაზვერვო ქსელში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, რაზეც დობოშინსკი დათანხმდა. „ალექსანდრემ" დობოშინსკის ფსევდონიმად მისცა ფრანციშეკ დონბეკი და შეუთანხმდა შიფრის შესახებ, რომლითაც დობოშინსკის სადაზვერვო ცნობები უნდა გადაეცა.

დობოშინსკი დაუკავშირდა ემიგრანტული მთავრობის კურიერებს და 1946 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში ჩეხოსლოვაკიაზე გავლით არალეგალურად ჩავიდა პოლონეთში.

თავის ჩვენებაში ბრალდებულმა დაასახელა პოლონეთში ჩასვლის სამი მიზეზი: ბერიოზოვსკის (პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობის", „შინაგან საქმეთა მინისტრი") დავალება, „ალექსანდრეს" დავალება და პირადი მიზნები.

ილაპარაკა რა თავის ურთიერთობაზე „ალექსანდრესთან", რომელმაც მას აღუთქვა მხარდაჭერა ამერიკის დაზვერვაში, ბრალდებულმა განაცხადა:

„ალექსანდრეს" ჩემთვის პოლონეთში უნდა მოეწყო სპეციალური ტიპის რადიოსადგური, რომლის გადაცემის დაჭერა შეუძლებელი იქნებოდა და რომელიც ისეთ ადგილას იქნებოდა მოთავსებული, რომ მით სარგებლობა შესძლებოდათ ნაროდოვე სილა ზბროინეს რაზმებს და მე. პოლონეთში ჩასვლას უნდა გაეზარდა ჩემი პოლიტიკური მნიშვნელობა და გაეუმჯობესებინა პირობები".

პოლონეთში თავისი საქმიანობის შესახებ დობოშინსკი ამბობს:

„პოლონეთში ყველა ჩემს ლაპარაკს ვიყენებდი იმ პროპაგანდის მიზნებისათვის, რომლის წარმოება დამავალა „ალექსანდრემ", და დაზვერვისათვის..."

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ქვირას, 26 ივნისს თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის 1949 წლის პირველობის გათამაშების პირველი წრის მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშმა პირველი წუთებიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. თბილისელებმა არაერთი კრიტიკული მომენტი შექმნეს კუიბიშეველთა კართან, მაგრამ, ერთი მხრივ, თავდამსხმელთა გაუბედავი თამაშისა და მეორე მხრივ კუიბიშეველთა მეკარის ვინოგრადოვისა და მცველთა ენერგიული თამაშის გამო პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. პირველ ტაიმში კუიბიშეველებიც თბილისელთა საჯარიმო მოედნის ხშირი სტუმრები იყვნენ. განსაკუთრებით აქტიურად თამაშობდნენ გარემარბები ზაიცევი და სმისლოვი, მაგრამ ისინი ნაადრევად და არაზუსტად ურტყამდნენ კარში.

თამაშის მეორე ნახევრის მე-18 წუთზე თბილისელებმა დასძლიეს სტუმრების წინააღმდეგობა: ჯოჯუას მიერ მოწოდებული ბურთი მახარაძემ თავური გარტყმით გაახვია „კრილია სოვეტოვის" კარის ბადეში. ორი წუთის შემდეგ თბილისელებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს—ამჯერად მახარაძის მიერ მიწოდებული ბურთი ჯოჯუამ გაიტანა სტუმრების კარში. ცოტა ხნის შემდეგ ღოღობერიძემ აიძულა მეკარე ვინოგრადოვი მესამედ გამოეტანა ბურთი თავისი კარის ბადიდან. სტუმრები დაიბნენ, რაც კარგად გამოიყენეს თბილისელებმა. თამაშის დამთავრებამდე ზაზროშვილმა დამატებით სამი ბურთი გაიტანა (სამივე ბურთი ჯოჯუას მიერ იყო მოწოდებული).

მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს" გამარჯვებით, ანგარიშით 6 : 0.

თბილისის „დინამოს" თავდასხმის ხუთეული ამ მატჩში, განსაკუთრებით პირველი ბურთის გატანის შემდეგ, თამაშობდა გაცილებით უფრო კომბინაციურად და შეწყობილად. მათგან გამოირჩეოდნენ ჯოჯუა, ზაზროშვილი, მახარაძე. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჯოჯუას ზუსტმა, სწრაფმა და ენერგიულმა თამაშმა. დაცვამ და ნახევარდაცვამ, როგორც ყოველთვის, კვლავ დამაკმაყოფილებლად ჩაატარა მატჩი.

• • •

ამავე დღეს ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე განმეორებით მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ოსტატთა მეორე ჯგუფის ცენტრალური ზონის გუნდები—თბილისისა და ერევნის „სპარტაკი" (პირველი მატჩი მოიგეს თბილისელებმა, ანგარიშით 2 : 0). პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1 : 0 თბილისელთა სასარგებლოდ. თამაშის მეორე ნახევარში თბილისელებმა კიდევ ოთხი ბურთი გაიტანეს ერევნელთა კარში (აქედან სამი ბურთი გაიტანა ა. პაიჭაძემ) და მოიპოვეს გამარჯვება, ანგარიშით 5 : 0. ამრიგად, თბილისის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდს 12 ჩატარებული მატჩის 24 შესაძლებელში მოგროვილი აქვს მაქსიმუმი—24 ქულა (გატანილი და მიღებული ბურთების საკეთესო შეფარდებით—26 : 3).

ა. გოგოლაშვილი

ინგლის-ამერიკის ეკონომიური მეტოქეობა

ვაშინგტონი, 25 ივნისი. (საკდესი). 24 ივნისს სენატის ასიგნობათა კომისიის სხდომის დროს, რომელზეც განხილულ იქნა „მარშალის გეგმისათვის" ასიგნობათა საკითხი, კომისიის რამდენიმე წევრმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ მარშალიზებული ქვეყნები, მათი სიტყვით, უარს ამბობენ მიიღონ უფრო გადამწყვეტი ზომები სავაჭრო „ბარიერების" მოსასპობად. ეს ფაქტი ასახავს ვაჭრობის დარგში იმპერიალისტური ქვეყნების ბრძოლის გამწვავებას იმის მიხედვით, თუ რამდენად უარესდება კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიური მდგომარეობა.

რესპუბლიკელმა სენატორებმა კორდონმა (ორეგონი) და ფერგიუსონმა (მიჩიგანი) დაიმოწმეს ცნობა, რომ ინგლისის ფინანსთა მინისტრ კრიპსსა და ჰარიმანს შორის უთანხმოება წარმოიშვა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ვაჭრობისა და გადასახდელთა საკითხებზე მოლაპარაკების დროს. ფერგიუსონის სიტყვით კრიპსის პოზიცია ამტკიცებს, რომ „ინგლისელები უარს ამბობენ თანამშრომლობ ვაჭრობის საკითხებში". კორდონმა გაილაშქრა ინგლის-არგენტინის სავაჭრო შეთანხმების, აგრეთვე ინგლის-ბელგიის ალმასის კარტელის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იმას მაინც უნდა მიაღწიონ, რომ გაუქმდეს ისეთი კარტელები, როგორიცაა ლონდონის ალმასის კორპორაცია.

მარშალის გეგმის განმახორციელებელი ადმინისტრატორი ჰოფმანი ცდილობდა დაემშვიდებინა სენატორები და განაცხადა, ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რათა ვიბრძოლო ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებათა წინააღმდეგ და დავაჩქარო შექმნა „ისეთი მშვიდობისა, რომელიც ჩვენ გვესაჭიროებაო".

კომუნისტური გაზეთის აკრძალვა რურში

ბერლინი, 25 ივნისი. (საკდესი). ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის კომპარტიის ორგანიზაციის გამგეობამ პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისელმა ხელისუფლებმა აკრძალეს რურის ოლქში გამომავალი მუშათა გაზეთი „დი ნოიე ფოლკსცაიტუნგი" (კომპარტიის ორგანო).

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დი ნოიე ფოლკსცაიტუნგის" აკრძალვა ემთხვევა დასავლეთ გერმანიაში საარჩევნო კამპანიის დაწყებას. ინგლისელთა ამ ბრძანების აზრი, წერს გაზეთი, ცხადია ის არის, რომ რურის ოლქში დაადუმოს კომუნისტური პარტია.

პარტიზანული მოძრაობა სამხრეთ კორეაში

ფხენიანი, 25 ივნისი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პარტიზანული რაზმების აქტივობა სამხრეთ კორეის პროვინციებში—ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩუნჩენში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩოლაში დღითიდღე ძლიერდება. 10 ივნისს პარტიზანებმა მთლიანად გაანადგურეს პოლიციის განყოფილება სადგურ დანანში და ხელთ იგდეს პოლიციელთა მთელი იარაღი. მეორე დღეს იგივე პარტიზანული რაზმი თავს დაესხა დაიანის მაზრის დექსენის თემის სათემო პოლიციის სამმართველოს და მოსპო პოლიციელთა ჯგუფი. 12 ივნისს იმავე მაზრაში მოქმედმა პარტიზანებმა მოსპეს პოლიციის რაზმის დასახმარებლად გაგზავნილი პოლიციელები.

ბევრი პოლიციელი გაანადგურეს პარტიზანებმა ბოსენის ჰამპხენის, რენგვანის, გურეს და სხვა მაზრებში. პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში პენჩენის რაიონში პოლიციის რაზმმა ათი კაცი დაკარგა და იძულებული გახდა უკან დაეხია. ბევრ სხვა მაზრაში გააფთრებული ბრძოლებია რომლებშიც პარტიზანები სერიოზულ ზიანს აყენებენ პოლიციის სადამსჯელო რაზმებს.

პარტიზანული მოძრაობის მასშტაბით დამფრთხალი სამხრეთ კორეის მარიონეტული მთავრობა უშედეგოდ ცდილობს ამ მოძრაობის ჩახშობას. ეგრეთწოდებულმა ლი სინ მანის მთავრობამ რამდენიმე საპოლიციო დამსჯელი რაზმი გაგზავნა პარტიზანული რაზმების მოქმედების ძირითად რაიონებში—მთიან რაიონ ოდოსანში, ტხია-ბაქსანში, აგრეთვე მათ მომიჯნავე მაზრებში, სადაც იმყოფებიან პარტიზანული რაზმების დიდი შენაერთები, რომლებიც უმთავრესად შეიარაღებული არიან იმ ამერიკული იარაღით, რაც ხელთ იგდეს პოლიციის წინააღმდეგ ბრძოლებში. სამხრეთ კორეის სააგენტოს ხაბტონ თხონსინის ოფიციალური ცნობით სადამსჯელო რაზმების საბრძოლო ოპერაციების სახელმძღვანელოდ კანვონის პროვინციაში 15 ივნისს ამერიკელი ოფიცრები ჩავიდნენ.

კიმ გუს მოკვლა

ლონდონი, 26 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს სეულელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს სეულში მოკლეს კიმ გუ. ცნობიდან ჩანს, რომ თავდამსხმელს სამხრეთ კორეის ლისინმანის მარიონეტული არმიის ლეიტენანტის ფორმა ეცვა.

კიმ გუ კორეის მემარჯვენე ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი პარტიის ლიდერი იყო. 1948 წლის აპრილში მან მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების გაერთიანებულ თათბირში, რომელიც ფხენიანში შედგა. როგორც ცნობილია, ფხენიანის თათბირის მონაწილეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სამხრეთ კორეის საპარლამენტო „არჩევნებს" და მოითხოვეს კორეიდან წასულიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისია, რომელიც გამოყენებული იყო კორეის გათიშვისათვის, აგრეთვე მოითხოვეს უცხოეთის ჯარების გაყვანა კორეიდან.

საბერძნეთის პროგრესული ორგანიზაციების სიკვდილმისჯილ მოღვაწეთა მიმართვა

ათენი, 26 ივნისი. (საკდესი). სამხედრო სასამართლოს მიერ ორი დღის წინათ სიკვდილმისჯილმა ვასილიოს მარკეზინისმა, კორნეი ნიკოლაიდისმა და ემანუელ ლიგეროსმა უცხოეთის ჟურნალისტებს გაუგზავნეს მიმართვა უცხოეთის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა და ორგანიზაციათა სახელზე.

მიმართვაში ნათქვამია: „15 ივნისს 12 თვის პატიმრობის შემდეგ ყოველგვარი ძიებისა და ფორმალური დაკითხვის გარეშეც კი ჩვენ წარვდექით სამხედრო სასამართლოს წინაშე იმ ბრალდების საფუძველზე, რომელიც პოლიციელთა აშკარა მონაგონია. ჩვენი დანაშაულის დამადასტურებელი რაიმე საბუთი სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა ცრუმოწმეებმა —პოლიციის ოფიცრებმა თვითონვე აღიარეს, რომ მათი ჩვენებები ემყარება არა ფაქტებს, არამედ ცნობებს, რომლებიც მიღებულია მესამე პირთაგან—დამსმენთაგან, რომლებიც არა თუ მოწმეებად არ ყოფილან პროცესზე, არამედ არც კი დაუსახელებიათ. 23 ივნისს სასამართლომ სიკვდილით დასაჯა მოგვისაჯა. ამ განაჩენით ჩვენი სახით იდევნება საბერძნეთის გმირული ნაციონალური წინააღმდეგობა".

მიმართვაში შემდეგ ნათქვამია, რომ ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური იტალიის მიერ ოკუპაციის დროს მარკეზინისი, მაშინ სახელმწიფო მოსამსახურე—პროფესიით ინჟინერ-ქიმიკოსი, ეამ-ის ათენის ორგანიზაციის მდივანი იყო. ნიკოლაიდისიც ეამ-ის მოღვაწე იყო, ხოლო ლიგეროსი წინააღმდეგობის საიდუმლო პრესაში მუშაობდა და ეამ-ის რიგითი წევრი იყო. მათ მტრული ოკუპაციის დროს დევნა განიცადეს.

„პროტესტს ვაცხადებთ,—ნათქვამია მიმართვის დასკვნით ნაწილში,—სასამართლოს ამ დევნის წინააღმდეგ და გთხოვთ უშუალოდ ჩაერიოთ ჩვენი ხსნის საქმეში, ვინაიდან 3-4 დღის განმავლობაში დახვრეტა გვემუქრება".

მიმართვა გაგზავნილია ევატის, ტრიუგვე ლის, უოლესის, ინგლისის დეპუტატების სოლის, ტიფენის, ზილიაკუსის, აგრეთვე პოლიტის, ორიოლის, კაშენის, ჟოლიო-კიურის და სხვ. სახელზე.

ბერძენ პატრიოტთა დახვრეტა

ათენი, 26 ივნისი (საკდესი). როგორც გაზეთი „ვიმა" იუწყება, კუნძულ კერკირზე დახვრიტეს მიხალის მორაიტისი, მარკოს კაფუროსი, ე. ბურბინასა, სარანდის ბასიოსი. მათ ყველას 3-4 წლის წინათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს იმისათვის, რომ ჰიტლერული ოკუპაციის პერიოდში მონაწილეობას იღებდნენ წინააღმდეგობის მოძრაობაში და მოქმედებდნენ კოლაბორაციონისტების წინააღმდეგ (იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც მტერთან თანამშრომლობდნენ. —რედ.).

საბერძნეთის მთავრობის ჩამოყალიბება ცალდარისს მიენდო

ათენი, 25 ივნისი. (საკდესი). საბერძნეთის ახალი მთავრობის შედგენა ცალდარისს მიენდო. არსებული ცნობებით, ცალდარისი შეეცდება შეინარჩუნოს მონარქისტული „სახალხო პარტიის" თანამშრომლობა ლიბერალებთან როგორც ახალი მთავრობის ბაზა. ცალდარისი კაბინეტს ჩამოაყალიბებს სოფულისის დასაფლავების შემდეგ.

საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია მილანში ჩავიდა

რომი, 25 ივნისი. (საკდესი). ანსა-ს სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა პროფკავშირული დელეგაცია ვ. კუზნეცოვის მეთაურობით გუშინ თვითმფრინავით რომიდან მილანს ჩავიდა პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

მწერალთა კლუბში

ოთხშაბათს, 29 ივნისს, მწერალთა კლუბში გივი გაჩეჩილაძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „მარქსიზმის კლასიკოსები თარგმანის ხელოვნების შესახებ".

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

29 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში (ლენინის ქ. 98, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ახალი კორპუსი, IV სართული) შედგება საზეიმო კრება მიძღვნილი კურსდამთავრებულთა V გამოშვებისადმი.

დირექცია

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ნანიტაშვილი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) 8 ივლისს, დღის 1 საათზე, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე **ოტია ილარიონის-ძე კახაძე** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„პურეულის ლექსიკა ქართულში"**.

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **ქ. ლომთათიძე**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ვ. ფანჩვიძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში, ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 9 ივლისს, საღამოს 8 საათზე, დიდ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34/36) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **ბარბარე ლეონტის ასული კვირიკაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Структуро-образование глинистых суспензий природных глин"**.

ოფიციალური ოპონენტები: ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მ. შიშნიაშვილი**, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ა. ვარდუკაძე**, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ნ. ფირცხალავა**.

სადისერტაციო შრომის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

1949-50 სასწავლო წელს თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მიღება იწარმოებს ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების ფაკულტეტებზე.

მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 17-35 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა.

უგამოცდოდ მიიღებიან ისინი, ვინც საშუალო სკოლის დამთავრებისას ჩინებული წარმატებისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის ოქროს და ვერცხლის მედლებით არიან დაჯილდოებული, აგრეთვე ისინი, ვინც ტექნიკუმი დაამთავრეს ფრიადი ნიშნებით, ჩარიცხული არიან გამოშვების 5%-ში და შედიან სასწავლებელში თავისი სპეციალობის მიხედვით. (მედალოსნები აბარებენ გამოცდებს უცხო ენაში სპეციალობის მიხედვით). ვინც უგამოცდოდ არ იქნება ჩარიცხული, მათთვის იწარმოებს მისაღები გამოცდები შემდეგ საგნებში:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), 3. ისტორიაში, 4. გეოგრაფიაში 5. უცხო ენაში (ფაკულტეტის სპეციალობით).

განცხადების მიღება ინსტიტუტში ჩარიცხვის შესახებ წარმოებს 1 ივლისიდან 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები—1 აგვისტოდან 10 აგვისტომდე.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად), დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ე) სამი ფოტოგრაფიული სურათი, ზომით 3×4 სმ., ვ) ცნობა სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ცნობებისა და კონსულტაციის მიღება შეიძლება ყოველდღე დილის 10 საათიდან დღის 5 საათამდე ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქ. № 51 (ვაკე), ტელეფონი № 3-07-89.

ცეკავშირის თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას საბუღალტრო და საქონელმცოდნეობის განყოფილებათა პირველ კურსზე 1949-50 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმი ამზადებს ბუღალტრებს და საქონელმცოდნეებს სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული კავშირებისათვის. სწავლის ხანგრძლივობა ორივე განყოფილებაზე სამი წელია. ტექნიკუმში მიიღებიან 14-30 წლის ასაკის არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

განცხადებები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, 5. 3 ცალი ფოტოსურათი (შემოწმებული), 6. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე შემდეგ საგნებში:

1. სსრ კავშირის კონსტიტუცია, 2 მათემატიკა (წერა და ზეპირი), 3, რუსული ენა (წერა და ზეპირი), 4. ქართული ენა (წერა და ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ფრიადოსნები, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა 1948-1949 წლებში.

ტექნიკუმში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ბინით, სტიპენდიით არსებული წესის მიხედვით, სასადილოთი.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

სკოლის მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 88.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დირექცია აცხადებს 1949-50 სასწავლო წლისათვის ახალ მიღებას ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, კერამიკისა და არქიტექტურის ფაკულტეტებზე.

აკადემიაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები:

1) ავტობიოგრაფია, 2) საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 3) პასპორტი (პირადად წარმოადგენს), 4) სამი ფოტოსურათი უქუდოდ (3×4 სანტიმეტრის ზომისა) და 5) ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

საერთო განათლების დისციპლინებში უგამოცდოდ მიიღებიან: ა) ის პირნი, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა ოქროს ან ვერცხლის მედლით, ან საშუალო სამხატვრო სასწავლებელი ფრიადოსნის ატესტატით და ბ) სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ფრიადოსნის ატესტატით, მიუხედავად საშუალო სკოლის დამთავრების წლისა. სპეციალურ დისციპლინებში მისაღები გამოცდების ჩაბარება აქ აღნიშნულ პირთათვისაც სავალდებულოა.

შემომსვლელთა დასახმარებლად აკადემიაში იწარმოებს კონსულტაცია სპეციალურ საგნებში.

განცხადების მიღება წარმოებს 15 ივლისამდე ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, 9-დან 17 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-ლ აგვისტოდან 20 აგვისტომდე. აკადემიის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 22.

კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა იძენს რევოლუციამდე გამოსულ ქართულ წიგნებს და პერიოდულ გამოცემებს ხელუხლებელი ფონდისათვის. მისამართი: თბილისი, კეცხოველის ქ. № 5.

თეატრებში

რუსთაველის სახელობის თეატრი (ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში)	28-VI	„ოტელო" 7 სთ. 10 წთ.
	29-VI	„ეჩა ეჩარდია" 17 სთ. 10 წთ.
	30-VI	„იმათ მხარეში" 18 სთ. 10 წთ.
მარჯანიშვილის სახელობის	28-VI	„სოფლის სამო საღამოები"
	29-VI	„სოფლის სამო საღამოები"
მუსიკალური კომედიის	28-VI	„ნათელა"
	29-VI	„ჩემი მიუზელი"

პავლე, თამარ და თემურ გუნიავები იუწყებიან მიშა გიორგის-ძე ავეცაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 28-VI, 6 ს. ლერმონტოვის, 4.

ვ. გურბელაძე, დ. ეძგვერაძე, მ. სანიკაძე თ. ქუთათელაძე, ვ. ფანიევი, დ. ჭიჭინაძე თანაგრძნობას უცხადებენ ბ. გოგოძეს მისი მამის პლატონის გარდაცვალების გამო.

ქეთო გოგოძე მეუღლით დემნა შენგელაიათი იუწყება მამის პლატონ მიხეილის-ძე გოგოძის გარდაცვალებას. გამოსვენება 28-VI, 6 ს. მარჯანიშვილის (ყოფ. ქორესის), 26.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიონული კომიტეტის და რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბ. გოგოძეს მისი მამის პლატონ მიხეილის-ძე გოგოძის გარდაცვალების გამო.

ნ. გიორგობიანი, ნ. ლორთქიფანიძე, ქ. ელიაშვილი, ნ. ვაშაკიძე, ვ. ქორიძე, გ. ტაბატაძე, ვ. საჭინავა, ფ. ლუარსამიძე, ა. ქუთათელაძე, დ. იაშვილი, ფ. სულაძე, თ. ბუზარიაშვილი, შ. გუნია, ქ. გეგია, ს. კვახაძე, ბ. მგალობლიშვილი, მ. ვართაპეტოვი, გ. გელაშვილი, შ. ტყავაძე თანაგრძნობას უცხადებენ ბ. გოგოძეს მისი მამის პლატონის გარდაცვალების გამო.

შვილები ბიძინა, ფაცია, ქეთო, ელენე, რძალი ნინო გოგოძეები, სიძეები დემნა შენგელაია და შალვა გიგაშვილი იუწყებიან პლატონ მიხეილის-ძე გოგოძის გარდაცვალებას. გამოსვენება 28-VI, 6 ს. მარჯანიშვილის, 26-ა.

ბერიას რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე რაიონის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ბ. გოგოძეს მისი მამის პლატონის გარდაცვალების გამო.

შვილი არსენ, რძალი ეკატერინე, შვილიშვილები შალვა, მიხეილ და მედეა შვილებით მანანათი და მარინეთი იუწყებიან კესა ხოსროს ასულ გოგატაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-VI, მახარაძეში.

მეუღლე ბიჭიკო, შვილები ელენე, სონია, თინა, ვასო ოჯახებით იუწყებიან მარიამ გიგოს ასულ იოსელიანი-ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-VI ქ. ქუთაისში, ყაზბეგის პირველი შესახვ., 1.

ვასო, შალვა, ლუბა, ნუნუ გოგოძეები და ელენე ლაღიძე იუწყებიან პლატონ მიხეილის-ძე გოგოძის გარდაცვალებას.

შვილები ბენია, კოტე და მარუსა ოჯახით, რძლები ნუცა, თამარ, შვილიშვილები ნარო, ომარ, ჯუმბერ ფალავანდიშვილები იუწყებიან ლიდა კონსტანტინეს ასულ ფალავანდიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-VI დ. საჩხერეში.

მეუღლე რიბკა, შვილი ფილხაზ, რძალი ლიზა, შვილიშვილები ნინო, შალვა, მარო და ირა სეფიაშვილები იუწყებიან ისაკ ოსხებიძე სეფიაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-VI ს. ბანძაში.

ზ. სიმონიშვილი, ვ. ჭიაურელი, დ. მაისურაძე, ვ. ესააშვილი, ს. ჭილაია, ი. ჩხიკვიშვილი, ვ. ბურჯანაძე, ნ. შველიძე, დ. ფანჩულიძე, გ. საყვარელიძე, ა. ვოლფენზონი, ა. კალანდარიშვილი, ქ. გარდაფხაძე, ვ. მერკვილაძე, ბ. მანთიძე თანაგრძნობას უცხადებენ ლ. ლუდუშაურს გივი ზაქარიას-ძე ლაბაძის გარდაცვალების გამო.

დედა ალექსანდრა, ძმები ვლადიმერ, გიორგი ლომთაძეები, ბიძა დავით, ბიცოლა მარგარიტა, ბიძაშვილები ნოდარი ოჯახით, ზურაბ და რევაზ ჭარხალაშვილები იუწყებიან ვახტანგ ბაგრატის-ძე ლომთაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-VI, 5 ს. ქუთაისში. ერისთავის II შესახვევი 36.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრებისა—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა— 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000 უე 01854